



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში






სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ვაშტკიცებ

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი


13 12 2019 წელი

N 68/36

ეგზ.: N1

მცხეთის მუნიციპალიტეტის
2017-2018 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
აუდიტის საგანი	10
აუდიტის მასშტაბი.....	11
აუდიტის კრიტერიუმები	11
აუდიტის მიზანი	12
აუდიტის მეთოდოლოგია	12
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
აუდიტის მიგნებები.....	13
ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები	13
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	15
შესასყიდი სამუშაოების ღირებულების ზრდა.....	15
სპორტული კომპლექსის და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოები	17
დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები.....	29
შესყიდვების მართვა.....	37
სატენდერო კომისიის არაერთგვაროვანი მიდგომა.....	37
მიწოდების პირობების დარღვევაზე დაწესებული საჯარიმო სანქცია.....	39
მოსახლეობის წყალმომარაგება	41
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	44
საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებული ხარჯები.....	44
სატრანსპორტო საშუალებები	46
წარმომადგენლობითი ხარჯი.....	47
შესყიდული საკონსულტაციო მომსახურება.....	49
შტატგარეშე თანამშრომლის დანიშვნა.....	51
ქონების მართვა	51
სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება.....	51
მუნიციპალიტეტზე გადაცემული ტრაქტორები	54
ინვენტარიზაცია	55
შიდა აუდიტის სამსახური.....	57
წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები.....	58
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	59

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

მუნიციპალიტეტი – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია; მცხეთის მუნიციპალიტეტის (თემის) გამგეობა;

გამგეობა – მცხეთის მუნიციპალიტეტის (თემის) გამგეობა;

ქალაქ მცხეთის მერია – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;

მცხეთის მერია – მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;

საკრებულო – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო; მცხეთის მუნიციპალიტეტის(თემის) საკრებულო;

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სს – სააქციო საზოგადოება;

ო/მ – ინდივიდუალური მეწარმე;

დღგ - დამატებული ღირებულების გადასახადი;

მგფ - მუნიციპალური განვითარების ფონდი.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი - სპორტული კომპლექსი

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

-) მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდაა დაგეგმილი ბიუჯეტი, მასში არ არის ასახული გადაჭარბებით მიღებული შემოსავლების ხარჯვა. არ არის დასრულებული დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტს მუდმივად ერიცხება მნიშვნელოვანი თავისუფალი ნაშთი. შედეგად, მოსახლეობას დროულად ვერ მიეწოდება შესაბამისი სერვისები და სიკეთე.
-) მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა - სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა ყველა შესასრულებელ სამუშაოს. ახალი სამუშაოების შესყიდვის მიზნით დაუსაბუთებლად, სისტემატურად ზრდიდა სახელშეკრულებო ღირებულებას 10%-ის ფარგლებში. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაკონკურენტულ გარემოში შეისყიდა ერთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები და არ გამოიყენა ფინანსური რესურსის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის შესაძლებლობა.
-) კულტურის სახლისა და სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების პროექტების შესყიდვისას სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომელიც მუნიციპალიტეტმა ვერ გამოავლინა. შედეგად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხარჯთაღრიცხვებში შევიდა არსებითი ცვლილებები, გაიზარდა მშენებლობის ღირებულება და მუნიციპალიტეტმა გასწია დამატებითი ხარჯი.
-) ქალაქ მცხეთის სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ყველა ეტაპზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები: სატენდერო კომისიამ ვერ გამოავლინა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში არსებული მრავალი უზუსტობა, რის გამოც მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან გასწია ზედმეტი ხარჯი; სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის არ დააჯარიმა მიმწოდებელი; საპროექტო დოკუმენტაციაში შევიდა არსებითი ცვლილებები და დაემატა ახალი სამუშაოები, რომელთა შესყიდვა განხორციელდა არაკონკურენტულ გარემოში, ელექტრონული შესყიდვის გარეშე; მუნიციპალიტეტმა დაუკვეთა და შეიძინა კომპლექსის ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, რომელიც ვერ გამოიყენა და გასწია არაეფექტიანი ხარჯი.

-) ქალაქ მცხეთის კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის, მუნიციპალიტეტმა არ დააჯარიმა მიმწოდებელი. მხარეთა შეთანხმებით მოხდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება: შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოები, არასწორად გაიზარდა მასალებისა და სამუშაოების ღირებულება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან გასწია დიდი ოდენობით ზედმეტი ხარჯი.
-) ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების გამო, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ჩაიბარა. შედეგად, მოსახლეობამ გრძელვადიან პერიოდში ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სარგებელი.
-) მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, რამდენიმე შემთხვევაში პრეტენდენტების მიმართ გამოიყენა არაერთგვაროვანი მიდგომა. შედეგად, გაიზარდა შესყიდვის ღირებულება, რაც არაეკონომიურად განკარგულ საბიუჯეტო რესურსს წარმოადგენს.
-) ქონების მართვასა და კონტროლში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია მუნიციპალიტეტის ქონების არაეფექტიანად განკარგვა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა შემოსავლები.
-) მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარაგებას ახორციელებდა მის მიერ დაფუძნებული შპს, რომელსაც არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია; სასმელი წყალი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიეწოდებოდა გრაფიკით; წყლის ხარისხი ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს; არ ხდებოდა მოხმარებული წყლის გადასახადის ამოღება, რაც აუარესებდა წყალმომარაგებას და ზრდიდა მუნიციპალიტეტიდან გაცემული სუბსიდიის მოცულობას.
-) მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
-) მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.
-) მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

-) შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვის და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მცხეთის მერიამ საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

რეკომენდაცია №2: მცხეთის მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს მის განსახორციელებლად ყველა აუცილებელი სამუშაო. შედეგად, შესყიდვის პროცესში ჩამოყალიბდება კონკურენტული ფასი, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას. ხელშეკრულების ღირებულების ზრდა განახორციელოს მხოლოდ ობიექტური გარემოებების შემთხვევაში. ამასთანავე, შეისწავლოს იმ სამუშაოების ფასების რეალობა, რომელიც ტენდერის გარეშე დაემატა ხარჯთაღრიცხვებს და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3: მცხეთის მერიამ დანერგოს ისეთი დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებების პრევენციას და გამოვლენას. ამავდროულად, შეისწავლოს სპორტული კომპლექსისა და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესში გამოვლენილი გარემოებები, დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4: მცხეთის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას.

რეკომენდაცია №5: მცხეთის მერიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. წინასწარ გამოიკვლიოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტების სპეციფიკა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო რისკები. პროექტის შესყიდვის დროს შეისწავლოს პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მერიამ მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსი მიმართოს დაწყებული ობიექტების დასასრულებლად. განხორციელოს ყველა ის პროექტი, რომელიც პრიორიტეტულია მერიისთვის და სიკეთეს მოუტანს მოსახლეობას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების დროულად მიწოდებას.

რეკომენდაცია №6: მცხეთის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და არ დაუშვას კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება. მერიამ შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №7: მცხეთის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმილ ვადაში განხორციელება. მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოიყენოს ისეთი საჯარიმო სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების დავიანებით მიწოდების პრევენციას. შედეგად, დროულად დასრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობა მიიღებს შესაბამის სიკეთეს.

რეკომენდაცია №8: მცხეთის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, წყლის სისტემის გამართულ ექსპლოატაციას და მიწოდების ხარჯების შემცირებას.

რეკომენდაცია №9: მცხეთის მერიამ საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები არ აანაზღაუროს შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული

უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას და საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №10: მცხეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ, აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას, საწვავის და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

რეკომენდაცია №11: მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიღების ფორმა, მიზანი და გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს.

რეკომენდაცია №12: მცხეთის მერიამ, შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის, არ გადაიხადოს დამატებითი სახსრები. მიზანშეწონილია, მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში შესაბამისი კვალიფიკაციის პირების დასაქმებას. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის 1% მიმართოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №13: მცხეთის მერიამ შეისწავლოს ქონებით მოსარგებლე პირების დავალიანების საკითხი და გაატაროს სათანადო ღონისძიებები. შეიმუშაოს შემოსავლების ადმინისტრირების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კუთვნილი თანხების დროულ და სრულად მიღებას. მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების ფასების საბაზრო პირობებთან დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღებას.

რეკომენდაცია №14: მცხეთის მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №15: მცხეთის მერიამ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა იმგვარად წარმართოს, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა წინა წლების დოკუმენტაცია. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 48,002.7 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

¹ 2017-2018 წლებში მოქმედი რედაქციით.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-III დადგენილება - გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ და სხვ.

აუდიტის მიზანი

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- საუდიტო ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- გამოკითხვა; გარე დადასტურება;
- შემოწმება; ხელახალი გაანგარიშება;
- ანალიზური პროცედურები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

მცხეთის მერია² არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მცხეთის მერია აერთიანებს 22 ადმინისტრაციულ ერთეულს, მოიცავს ერთ ქალაქს და 63 სოფელს³ თვითმმართველი ერთეულის ფართობია 805 კვ.კმ,⁴ მოსახლეობის რიცხოვნობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 53.9 ათას კაცს, ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მცხეთა.⁵

² გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის №987-III დადგენილების შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქ მცხეთის მერია და თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად – მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიადა.

³ წყარო: <https://napr.gov.ge/>

⁴ წყარო: <http://mtskheta.gov.ge>

⁵ წყარო: www.geostat.ge

აუდიტის მიგნებები

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა მიღებული შემოსულობები და საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები სრულად უნდა ასახოს ბიუჯეტში და მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა პროექტების განსახორციელებლად.⁶ ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სასიკეთოდ.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2017 წლების შემოსულობები დაგეგმილი იყო 21,951.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 22,869.3 ათასი ლარი (104%), გადასახდელები დაიგეგმა 27,603.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 23,200.3 ათასი ლარი (84%). 2018 წლების შემოსულობები დაგეგმილი იყო 26,504.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 29,079.8 ათასი ლარი (110%), გადასახდელები დაიგეგმა 31,790.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 24,802.4 ათასი ლარი (78%). 2017-2018 წლების ბიუჯეტის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2017			2018		
	გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება
შემოსულობები	21951.5	22869.3	104.2%	26504.3	29079.8	109.7%
შემოსავლები	21451.5	22227.0	103.6%	25254.3	27039.0	107.1%
არაფინანსური აქტივების კლება	500.0	642.3	128.5%	1250.0	2040.8	163.3%
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	27603.3	23200.3	84.0%	31790.1	24802.4	78.0%
ხარჯები	13915.1	12780.6	91.8%	16449.4	14584.6	88.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	13369.3	10102.0	75.6%	15005.4	9883.1	65.9%
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	318.9	317.8	99.7%	335.3	334.7	99.8%
ნაშთის ცვლილება	-5616.8	-331.0		-5285.8	4277.4	

⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 4, პირველი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობები დაგეგმილთან შედარებით გადაჭარბებითაა მიღებული. კერძოდ, 2017 წელს - 917.8 ათასი ლარით, ხოლო 2018 წელს - 2,575.5 ათასი ლარით, მათ შორის ქონების გადასახადის სახით მიღებულმა შემოსავალმა 2017 წლის გეგმას 1,202.0 ათასი ლარით გადააჭარბა, ხოლო 2018 წელს - 1,358.3 ათასი ლარით; 2017 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი (სახელმწიფოს მიერ გაყიდული მიწებიდან) დაგეგმილთან შედარებით 142.3 ათასი ლარით მეტი, ხოლო 2018 წელს 790.8 ათასი ლარით მეტია მიღებული. მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში რამდენჯერმე დააზუსტა ბიუჯეტი და მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული იყო შემოსულობების გადაჭარბების შესახებ ბიუჯეტის შესაბამისი კორექტირება და საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა არ განუხორციელებია.

2017-2018 წლების გადასახდელებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დაგეგმილი პარამეტრები არ შესრულებულა. ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2017 წელს დაგეგმილი იყო 13,369.3 ათასი ლარის ხარჯვა, ხოლო შესრულებამ შეადგინა 10,102.0 ათასი ლარი (75.6%). უფრო დაბალია შესრულების მაჩვენებელი 2018 წელს, ნაცვლად დაგეგმილი 15,005.4 ათასი ლარისა, ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაზე გაიხარჯა მხოლოდ 9,883.1 ათასი ლარი (65.9%). აღნიშნული მუხლის შეუსრულებლობა განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები არ დასრულებულა. კერძოდ, მომდევნო წელს გადავიდა ქალაქ მცხეთაში სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სოფლებში: ვაზიანში, ქსანში, ძეგვში, საგურამოსა და წეროვანში წყალმომარაგების სისტემასა და მინი სტადიონების მოწყობა, სოფელ ნატახტარში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და სხვა სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მიერ გადაჭარბებით მიღებული შემოსავლების გამოუყენებლობამ და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაუსრულებლობამ გამოიწვია ბიუჯეტის ნაშთების ზრდა, კერძოდ:

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა 5,616.8 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება. მიუხედავად ამისა, 2017 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ (კლებამ) შეადგინა მხოლოდ 331.0 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 5,285.8 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 1,293.1 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2018 წელს მუნიციპალიტეტმა ისევ დაგეგმა ნაშთის სრულად გამოყენება. თუმცა, კლების ნაცვლად ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 4,277.4 ათასი ლარი და

წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი – 9,563.2 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 4,310.4 ათასი ლარი თავისუფალ ნაშთს შეადგენს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდ ხდება ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტში არ აისახება მიღებული შემოსავლების ხარჯვა, არ სრულდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნული მიანიშნებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების არაეფექტურ მენეჯმენტზე. შედეგად, მუნიციპალიტეტს მუდმივად ერიცხება მნიშვნელოვანი თავისუფალი ნაშთი, მოსახლეობას არ მიეწოდება შესაბამისი სერვისები და მისგან მიღებული სიკეთე.

რეკომენდაცია №1: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მცხეთის მერიამ საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შესასყიდი სამუშაოების ღირებულების ზრდა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი შესყიდვისას მიმწოდებელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება.⁷ ხელშეკრულების ღირებულების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელია.⁸

გამოვლენილი გარემოება: 2017-2018 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის შესწავლისას გამოვლინდა სისტემური ხარვეზები. კერძოდ, მუნიციპალიტეტი გაფორმებულ ხელშეკრულებებში, დამატებითი სამუშაოების შესრულების მიზნით, შესყიდვის ღირებულებას 10%-ის ფარგლებში ზრდიდა.

⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, 21- მუხლი.

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 36-ე მუხლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 19,985.1 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები. აქედან 10,273.7 ათასი ლარის ღირებულების 17 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 10%-ის ფარგლებში, 949.3 ათასი ლარით. კერძოდ, აღნიშნულ 17 ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებიდან ამოღებულ იქნა 704.3 ათასი ლარის შესასრულებელი სამუშაოები, შეტანილი ცვლილებების შედეგად კი დაემატა 1,653.6 ათასი ლარის სამუშაოები. მათ შორის დაემატა 1.1 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოები, რომლებიც პირველადი ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული.⁹ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა 1.1 მილიონი ლარის - სამუშაოების ფასების განსაზღვრის ამსახველი მტკიცებულებები.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ცვლილებები არ წარმოადგენდა გამონაკლის შემთხვევებს და ის სისტემატურ ხასიათს ატარებდა. ხელშეკრულების ზრდის ფარგლებში მიმწოდებლები დამატებით ასრულებდნენ ისეთ სამუშაოებს რომელთა განსაზღვრაც წინასწარ შეიძლებოდა, ან შესაძლებელი იყო ამ სამუშაოების ახალი ტენდერის საშუალებით შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ დამატებული სამუშაოების ძირითადი ნაწილის ერთეულის ფასები დგინდებოდა მუნიციპალიტეტის და მიმწოდებლის შეთანხმებით, რაც წარმოშობს არაეკონომიური ხარჯვის რისკს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა - სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დაგეგმვისას არ ითვალისწინებდა ყველა შესასრულებელ სამუშაოს. ახალი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტი სისტემატურად, დაუსაბუთებლად ზრდიდა სახელშეკრულებო ღირებულებას 10%-ის ფარგლებში. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მუნიციპალიტეტის მიერ სახელშეკრულებო ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით. შედეგად, მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში არაკონკურენტულ გარემოში შეისყიდა ერთ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები და არ გამოიყენა ფინანსური რესურსის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია №2: მცხეთის მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს მის განსახორციელებლად ყველა აუცილებელი სამუშაო. შედეგად, შესყიდვის პროცესში ჩამოყალიბდება კონკურენტული ფასი, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას. ხელშეკრულების ღირებულების ზრდა განახორციელოს მხოლოდ ობიექტური გარემოებების შემთხვევაში.

⁹ აღნიშნული სახის სამუშაოები ტენდერით არ იყო გათვალისწინებული.

ამასთანავე, შეისწავლოს იმ სამუშაოების ფასების რეალობა, რომელიც ტენდერის გარეშე დაემატა ხარჯთაღრიცხვებს და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

სპორტული კომპლექსის და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოები

საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

კრიტერიუმი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისას, მუნიციპალიტეტი ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ საკონკურსო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. შემსყიდველის მიერ დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამოვლენა ან/და თავიდან აცილება. მუნიციპალიტეტი, ასევე ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი საპროექტო მომსახურება, რომლებიც შეესაბამება საკონკურსო პირობებსა და სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკონკურსო და სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

გამოვლენილი გარემოება: 2013 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტმა¹⁰ და 2014 წელს ქალაქ მცხეთის მერიამ კონკურსის საშუალებით¹¹ შეისყიდა ქ. მცხეთაში კულტურის სახლისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია. ორივე ხელშეკრულების ღირებულებამ სულ შეადგინა 190.0 ათასი ლარი.¹² კულტურის სახლისა და სპორტული კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე წარმოდგენილი არის ექსპერტიზის დადებითი დასკვნები.¹³ აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ პროექტი და ხარჯთაღრიცხვები შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს.¹⁴

¹⁰ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არსებობდა მცხეთის მუნიციპალიტეტი, რომლის გაყოფის შემდგომ შეიქმნა ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია და მცხეთის მუნიციპალიტეტის (თემის) გამგეობა.

¹¹ CMR130300844; ხელშეკრულება №25 და CMR150046363; 2014 წლის 4 სექტემბრის №35/კ ხელშეკრულება.

¹² კულტურის სახლი-55.0 ათასი ლარი. სპორტული კომპლექსი - 135.0 ათასი ლარი.

¹³ კულტურის სახლის პროექტის ექსპერტიზა ჩაატარა შპს „ექსპერტმა“ და სპორტული კომპლექსის - ი/მ „რევაზ მახვილაძემ“. ისინი არ იყვნენ აკრედიტირებული სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ. შესაბამისად, არ იყვნენ აღიარებული სახელმწიფო ორგანოს მიერ. აღნიშნულ საკითხზე მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

¹⁴ სპორტკომპლექსის ხარჯთაღრიცხვაში სრულად არ იყო ასახული საპროექტო ნახაზებზე არსებული ელემენტები; ორივე ხარჯთაღრიცხვაში არასწორად იყო ასახული მოცულობები და ა.შ.

მუნიციპალიტეტმა პროექტების ჩაბარების პროცესში ვერ გამოავლინა ხარვეზები და სრულად აანაზღაურა მომსახურების ღირებულება 190.0 ათასი ლარი. შემდეგ კი ხარვეზიანი ხარჯთაღრიცხვებით გამოაცხადა ტენდერები სპორტული კომპლექსისა და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. აღნიშნული ხარვეზების გამო, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხარჯთაღრიცხვებში შევიდა მნიშვნელოვანი კორექტირებები. კერძოდ, კულტურის სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა ისეთი ცვლილებების შეტანა, რის შედეგად გაიზარდა მშენებლობის ღირებულება და მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან დამატებითი გასწია დაახლოებით 34.0 ათასი ლარის ხარჯი.¹⁵

კულტურის სახლისა და სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების პროექტების ჩაბარების ეტაპზე მუნიციპალიტეტში არ იყო დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა უხარისხო პროექტების შეძენის თავიდან აცილებას. აგრეთვე, ხარვეზების გამოვლენის მიუხედავად, პროექტების ავტორების მიმართ არ გაუტარებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებელი პირობაა სამუშაოების სწორად დაგეგმვა და სათანადო კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა. აუდიტის ობიექტი ვალდებულია მუნიციპალური შესყიდვები განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენება და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ან ითხოვს დოკუმენტაციის დაზუსტებას, თუკი სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს.¹⁶

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას დამკვეთს შეუძლია ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვროს გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ აქვს. აღნიშნული თანხები მიმწოდებელმა შეიძლება გახარჯოს შემსყიდველთან

¹⁵ დამატებით შესრულებულ თბოიზოლაციის სამუშაოებს (1325-130)X21=25.0 ათას ლარს ემატება მოდინებითი ცხაურის მოწყობა (122-2)X72= 9.0 ათასი ლარი.

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 12, პუნქტები 5; 6; 10.

შეთანხმებით ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით.

კანონმდებლობით, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებისთვის, ზედნადები ხარჯების ზღვრული ნორმა განისაზღვრება მუშახელის ძირითადი ხელფასიდან.¹⁷

გამოვლენილი გარემოებები: 2018 წელს მცხეთის მერიამ ჩაიბარა ქ. მცხეთაში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 5,184.6 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ, სამუშაოების შესყიდვის პროცესის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებები, რითაც ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

2015 წლის 24 ივლისს ქალაქ მცხეთის მერიამ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სპორტული კომპლექსის სამუშაოების შესყიდვაზე,¹⁸ სავარაუდო ღირებულებით 4,723.6 ათასი ლარი.¹⁹ ტენდერის მიხედვით 2015 წელს უნდა შესრულებულიყო 700.0 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაო, ხოლო 2016-2017 წლების განმავლობაში - 4,023.6 ლარის. პრეტენდენტებს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადად განესაზღვრა 5 დღე, 2015 წლის 28 ივლისამდე. ხოლო წინადადების წარდგენის ვადად ორი სამუშაო დღე. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები რა აუცილებლობით იყო განპირობებული შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერით გამოცხადება, მაშინ როდესაც სამუშაოები 3 წლის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო. შესყიდვის ობიექტი იყო განსაკუთრებით დიდი და რთული, რომლის ხარჯთაღრიცხვა შედგებოდა ცხრა თავისა და რამდენიმე ათასი პუნქტისაგან. შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის ინფორმაციის სათანადოდ გაცნობა, დამუშავება და წარდგენა ამ პერიოდში დიდ სირთულეს წარმოადგენდა. აღნიშნული ქმედებით მუნიციპალიტეტმა შეზღუდა კონკურენცია.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4-მა პრეტენდენტმა.

¹⁷ ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის №55 დადგენილება.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის №994 და 10 ივლისის №1504 განკარგულებები.

¹⁹ საერთაშორისო ტენდერი SPA150020648; სავარაუდო ღირებულება 4,723.6 ათასი ლარი.

ცხრილი №2. სპორტული კომპლექსის ტენდერი

(ათასი ლარი)

	პრეტენდენტის დასახელება	პირველად შეთავაზებული თანხა	ბოლოს შეთავაზებული თანხა
1.	სს სამშენებლო საწარმოო გაერთიანება „იმერეთი“	4 723.6	4 723.6
2.	შპს „ელ ჯორჯია“	4 723.6	4 723.6
3.	შპს „ვლადნეფტპროდუქტის წარმომადგენლობა საქართველოში“	4 618.9	4 300.0
4.	შპს „არენა“	4 550.0	4 300.0

სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტებს მოეთხოვებოდათ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა ვადებისა და თანხების კრილში. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით,²⁰ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის, შპს „არენას“ დისკვალიფიკაციის მიზეზი იყო ის, რომ წარმოდგენილ გეგმა-გრაფიკში მითითებული ჰქონდა მხოლოდ ვადები და თანხები, გეგმა-გრაფიკში დაფიქსირებული თანხები არ იყო გაწერილი სამუშაოების მიხედვით.²¹ არასწორად წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის გამო მოხდა მეორე, დაბალი ფასის მქონე, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. შემდგომი პრეტენდენტის, შპს „ელ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი შეიცავდა ხარვეზებს, კერძოდ: სამუშაოების შესრულება თანხობრივად ნაჩვენები იყო მხოლოდ 2015 წელს, ხოლო 2016-2017 წლებში შესასრულებელი სამუშაოები თანხობრივად არ იყო გაწერილი.

მიუხედავად ამისა, შპს „ელ ჯორჯია“ გამოცხადდა გამარჯვებულად და 2015 წლის 15 სექტემბერს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 4 723.6 ათასი ლარი.²²

ქალაქ მცხეთის მერიას შემდგომშიც არ მოუთხოვია შპს „ელ ჯორჯია“-სთვის წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით პრეტენდენტს 2015 წელს სულ უნდა შეესრულებინა 700.0 ათასი ლარის სამუშაო.

²⁰ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №3. 12.08.2015წ.

²¹ შპს „არენას“ დისკვალიფიკაციის მიზეზი იყო რეკომენდაციის ხარვეზიც, თუმცა ამ ნაწილში დავების საბჭო არ დაეთანხმა სატენდერო კომისიას.

²² ხელშეკრულება №21.

ცხრილი №3. შპს „ელ ჯორჯიას“ 2015 წლის გეგმა-გრაფიკი (ათასი ლარი)

	თვე	გეგმა-გრაფიკით შესასრულებელი	შესასრულებელი ნაზარდი ჯამით	შესრულება	შესრულება ნაზარდი ჯამით
1.	სექტემბერი	78.0	78.0	62.3	62.3
2.	ოქტომბერი	144.6	222.6	0	62.3
3.	ნოემბერი	238.7	461.3	273.7	336.0
4.	დეკემბერი	238.7	700	381.6	717.6
	სულ 2015 წელი	700.0		717.6	

როგორც ცხრილიდან ჩანს, შპს „ელ ჯორჯია“ არ ასრულებდა სამუშაოებს გეგმა-გრაფიკის მიხედვით და სისტემატურად არღვევდა მას. ხელშეკრულება გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე, რაც ამ შემთხვევაში 297.6 ათას ლარს შეადგენს.²³ მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლო არ დაურიცხავს. ამდენად, შესყიდვის პროცესში მუნიციპალიტეტმა მოახდინა 2 დაბალ ფასიანი პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია გეგმა-გრაფიკისათვის და ხელშეკრულება გააფორმა შპს „ელ ჯორჯიასთან“, რომლისთვისაც არ მოუთხოვია გეგმა-გრაფიკის მიხედვით სამუშაოების შესრულება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ გეგმა-გრაფიკი არ იყო მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი და გამოიყენა მხოლოდ შპს „ელ ჯორჯიას“ გასამარჯვებლად, რომელმაც ტენდერში 423.6 ათასი ლარით მეტი ფასი დააფიქსირა. ამ რისკზე მიაჩნებოდა სხვა ფაქტორებიც, რომელიც გამოვლინდა აუდიტის მიმდინარეობისას.

მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაციით, შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განსაზღვრა 4,723.6 ათასი ლარით, საიდანაც ძირითადი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 4,585.0 ათას ლარს, გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%-ს, თანხით -137.6 ათას ლარს. ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა – შპს „ელ ჯორჯიამ“ წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით, 3%-იანი გაუთვალისწინებელი ხარჯების ნაცვლად ჩადებულია - 1%. კერძოდ, ძირითადი სამუშაოების ღირებულებად მიუთითა 4,676.9 ათასი ლარი, გაუთვალისწინებელი ხარჯები - 46.7 ათასი ლარი, სულ სამუშაოების შესასრულებლად დააფიქსირა 4,723.6 ათასი ლარი. ამდენად, პრეტენდენტის მიერ შესასრულებელი ძირითადი სამუშაოების თანხა აჭარბებდა ტენდერით გათვალისწინებულს. შპს „ელ ჯორჯიას“ რომ არ გადაეჭარბებინა შესყიდვის

²³ $4723.6 \times 0.1\% \times 63 = 297.6$ ათასი ლარი.

სავარაუდო ღირებულებისათვის, შეამცირა გაუთვალისწინებელი ხარჯები და გაზარდა ძირითადი სამუშაოების ღირებულება, რაც კანონმდებლობით დაუშვებელია. ბიუჯეტიდან ზედმეტად გადარიცხულმა თანხამ მინიმუმ 90.9 ათასი ლარი შეადგინა.²⁴ სპორტული კომპლექსის მშენებლობა ითვალისწინებდა სხვადასხვა სახის დანადგარის მონტაჟს. აღნიშნულ სამუშაოებზე სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ზედნადები ხარჯები ერიცხება შრომის ანაზღაურებას. შპს „ელ ჯორჯიას“ დანადგარების მონტაჟზე ზედნადები ხარჯები დარიცხული აქვს შესრულებული სამუშაოების მთლიან ღირებულებაზე.²⁵ მუნიციპალიტეტს ამ მიზეზითაც უნდა მოეხდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რაც არ გაუკეთებია.

სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესრულება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი შესყიდვისას მიმწოდებელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება.²⁶ ხელშეკრულების ღირებულების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია.²⁷

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის 15 თებერვალს მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 10%-ით. აღნიშნული ცვლილების საფუძველი იყო შპს „ელ ჯორჯიას“ წერილები,²⁸ სადაც განმარტებულია, რომ მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა შესასრულებელ და ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სამუშაოების მოცულობებს შორის სხვაობა.

ხელშეკრულებიდან ამოიღეს 471.6 ათასი ლარის, ხოლო დაამატეს - 943.5 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამუშაო. შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 471.9 ათასი ლარით და შეადგინა 5,195.5 ათასი ლარი. ისეთი სამუშაოები, რომელთაც პირველადი ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებდა და წარმოადგენდა ახალ პოზიციას, განფასდა სამშენებლო რესურსების ფასებით,²⁹ რომლებიც მხოლოდ საორიენტაციო

²⁴ (137.6-46.7) ათასი ლარი.

²⁵ დაახლოებით 52.0 ათასი ლარი (ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვები: №2.1.6; №2.1.10; №2.2.5; №2.2.6; №6.4).

²⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, 21- მუხლი.

²⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 36-ე მუხლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

²⁸ 2016 წლის 1 ნოემბრის №11/01 და 9 დეკემბრის №12/01 წერილები.

²⁹ ა(ა)იპ „მშენებლობის შემფასებელთა კავშირის“ მიერ დადგენილი.

ხასიათისაა და ტენდერის მიმდინარეობისას უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება, ჯამში 900.0 ათას ლარზე მეტია. შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსი არაეკონომიურად არის განკარგული, რაც სამუშაოების სწორი დაგეგმვისა და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პირობებში თავიდან იქნებოდა აცილებული.

ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანამდე ქალაქ მცხეთის მერიამ წერილობით მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ და მოითხოვა საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, ობიექტის სამშენებლო და ტექნიკურ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ექსპერტიზის ბიუროს აღნიშნული საკითხი არ შეუსწავლია და მოახდინა პირველადი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, რაც მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროებოდა. აღნიშნულ მომსახურებაში მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 23.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტიდან გაწეული არაეფექტიანი ხარჯია.

კულტურის სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები³⁰

ხელშეკრულების პირობის ცვლილება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი შესყიდვისას მიმწოდებელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის შედგენისა და ცვლილების წესი დადგენილია კანონმდებლობით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება არ უნდა აუარესებდეს ხელშეკრულების პირობებს. მიმწოდებელთან წინასწარი ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: კულტურის სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მესამე ეტაპი³¹ შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ელ ჯორჯიამ“, რომელთანაც ქალაქ მცხეთის მერიამ 2016 წლის 23 აგვისტოს გააფორმა 2,640.0 ათასი ლარის³² ღირებულების ხელშეკრულება. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 აპრილი.

შპს „ელ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა წინასწარ ანგარიშსწორებას, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ფარგლებში. წინასწარი გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა უპირობო,

³⁰ მესამე ეტაპის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

³¹ პირველ ეტაპი (SPA140006536): ახალი შენობის მშენებლობა - სამუშაოების ღირებულება 1,296.2 ათასი ლარი; მეორე ეტაპი (SPA150021377): მოსაპირკეთებელი სამუშაოები - ღირებულება 242.0 ათასი ლარი; მესამე ეტაპი (SPA160018102): გახმავანება-განათების, გათბობა-გაგრილების, ვენტილაციის, სარემონტო, ეზოს კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოები - ღირებულება 2,895.2 ათასი ლარი. სულ - 4,433.4 ათასი ლარის სამუშაოები. სამუშაოები დასრულდა 2017 წლის ივნისში.

³² ეზოს კეთილმოწყობა, გახმავანება-განათება, გათბობა გაგრილება, ვენტილაცია და სხვა.

გამოუთხოვადი საბანკო ან სადაზღვევო გარანტია. ამასთანავე, საავანსო თანხები მიმწოდებელს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ კონკრეტულ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად და ავანსის გაქვითვა მოხდებოდა ეტაპობრივად.

ხელშეკრულების დადებიდან 3 დღეში გაფორმდა შეთანხმება,³³ რომლის მიხედვით, ავანსის ღირებულება განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების 5%, ხოლო ავანსთან დაკავშირებული სხვა პირობა (უპირობო გარანტია, ავანსის ხარჯვის მიზნობრიობა და დაკავების წესი) ამოღებულ იქნა. ქალაქ მცხეთის მერიამ შპს „ელ ჯორჯიას“ ავანსის სახით ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის - 132.0 ათასი ლარის ნაცვლად, მაინც ჩაურიცხა 10% - თანხით 264.0 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და აუდიტის ჯგუფის შეფასებით, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით, რის საფუძველზეც მიმწოდებელზე გადარიცხულია ავანსი 264.0 ათასი ლარი, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გაუარესდა ხელშეკრულების პირობები, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა სამუშაოები უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვისა და გეგმა-გრაფიკის მიხედვით. სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება და უარესდება ხელშეკრულების პირობები.³⁴ ხელშეკრულების ღირებულების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია.³⁵

გამოვლენილი გარემოება: ხელშეკრულების პირობებით, შპს „ელ ჯორჯიას“ მშენებლობა უნდა ეწარმოებინა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, სადაც სამუშაოები სახეობებისა და თანხების მიხედვით იყო გაწერილი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ელ ჯორჯია“ სისტემატურად არღვევდა გეგმა-გრაფიკს, აღნიშნულ გარემოებაზე მუნიციპალიტეტს არ მოუხდენია სათანადო რეაგირება და არ დაუჯარიმებია მიმწოდებელი. 2016 წლის ნოემბერში შევიდა ცვლილება ხელშეკრულებაში,³⁶ შეიცვალა

³³ 2016 წლის 26 აგვისტოს №1 დანართი შეთანხმება.

³⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, 21- მუხლი.

³⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 36-ე მუხლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

³⁶ 2016 წლის 8 ნოემბრის №2 დანართი შეთანხმება.

შესასრულებელი სამუშაოები და თანხები. ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შემდეგ შპს „ელ ჯორჯიას“ ახალი გეგმა-გრაფიკი არ წარმოუდგენია. ამდენად, აუდიტის ჯგუფმა გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის, მხოლოდ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დასარიცხი ჯარიმების დათვლა შეძლო. ქალაქ მცხეთის მერიას შპს „ელ ჯორჯიისთვის“ უნდა დაეკისრებინა პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0.05%-ის ოდენობით, დაახლოებით, 8.5 ათასი ლარი,³⁷ რაც არ განუხორციელებია.

შპს „ელ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, ზოგიერთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მოცულობები შეიცვალა, დაემატა ახალი სამუშაოები. საბოლოო ცვლილებით, სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 10%-ით, ანუ 263.3 ათასი ლარით. შესაბამისად, დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა და სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2,903.3 ათასი ლარი. ახალი სამუშაოები დაემატა ტერიტორიის კეთილმოწყობას, გარე განათებას, შეიცვალა ჭერის მოწყობის სამუშაოები და სხვ. შედეგად, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დამატებით შეასრულებინა 105.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების ახალი სამუშაოები, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტმა კონკურენციის გარეშე შეისყიდა. შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსი არაეკონომიურადაა განკარგული, რომლის საჭიროებაც სამუშაოების სწორი დაგეგმვისა და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პირობებში არ დადგებოდა.

პროექტის მიმდინარეობის პროცესში ხარჯთაღრიცხვაში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომლითაც გაუარესდა მუნიციპალიტეტის პირობები და მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა თანხები.

კერძოდ:

) კულტურის სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში შედიოდა სავენტილაციო სამუშაოები, სადაც გათვალისწინებული იყო 2 650 კვ.მ ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარის მოწყობა:

- 1) ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარი სისქით 0.55 მმ - 1 675 კვ.მ;
- 2) ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარი სისქით 1 მმ - 975 კვ.მ.

ტენდერზე თავდაპირველად წარმოდგენილი წინადადების მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები შპს „ელ ჯორჯიას“ უნდა შეესრულებინა ჯამში 191.6 ათას ლარად,³⁸ მათ

³⁷ $50.0 \times 0.05\% \times 30 = 0.8$ ათასი ლარი; $500.0 \times 0.05\% \times 31 = 7.7$ ათასი ლარი; სულ 8.5 ათასი ლარი.

³⁸ სამუშაოები 137.3 ათასი ლარი, ემატება: სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე - 3%, ანუ 1.9 ათასი ლარი; ზედნადები ხარჯი - 8%, ანუ 11.2 ათასი ლარი; გეგმური დაგროვება - 8%, ანუ 12.0 ათასი ლარი; დღგ- 18%, ანუ 29.2 ათასი ლარი, სულ: 191.6 ათასი ლარი.

შორის: 1 675 კვ.მ -111.0 ათას ლარად, 975 კვ.მ - 80.6 ათას ლარად. თუმცა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, ტენდერში ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებისას შეიტანა ცვლილება და 0.55 მმ სისქის 1 675 კვ.მ ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარის მოწყობა განაფასა 170.9 ათას ლარად, ხოლო 1 მმ სისქის 975 კვ.მ-ის მოწყობაზე მიუთითა 0 (ნული) ლარი, ანუ სულ 2 650 კვ.მ მოთუთიებული ჰაერსატარი მიმწოდებელს უნდა მოეწყო 170.9 ათას ლარად.³⁹

შპს „ელ ჯორჯიამ“ 2016 წლის 1 ნოემბერს მიმართა⁴⁰ ქალაქ მცხეთის მერიას და აცნობა, რომ სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოაჩინა შესასრულებელ და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობებს შორის განსხვავებები. კერძოდ, მიმწოდებელმა მოითხოვა სავენტილაციო სამუშაოებისათვის საჭირო 1 675 კვ.მ 0.55 მმ სისქის ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარის მოცულობის გაზრდა 2 650 კვ.მ-მდე. თუმცა როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ხარჯთაღრიცხვით თავიდანვე იყო გათვალისწინებული 2 650 კვ.მ ჰაერსატარის მოწყობა, საიდანაც 975 კვ.მ 1 მმ სისქის - მილის მოწყობის სამუშაოები მიმწოდებელს განფასებული ჰქონდა 0 (ნული) ლარად. ქალაქ მცხეთის მერია დაეთანხმა მიმწოდებელს, ხარჯთაღრიცხვაში შევიდა ცვლილება, რომელიც შეთანხმდა პროექტის ავტორთან. შესასრულებელი სამუშაოებიდან ამოღებული იქნა 975 კვ.მ 1მმ სისქის მილის მოწყობა. სანაცვლოდ ხარჯთაღრიცხვას დაემატა იმავე ოდენობის 0.55 მმ სისქის მილის მოწყობა. შესაბამისად, მიმწოდებელს 2 650 კვ.მ მილის მოწყობაში ნაცვლად 170.9 ათასი ლარისა, გადაუხადეს 268.9 ათასი ლარი.⁴¹ ამასთანავე, 975 კვ.მ 1 მმ სისქის ნაცვლად მოეწყო უფრო ნაკლები, 0.55 მმ სისქის მილი.

არსებობს რისკი იმისა, რომ მიმწოდებელმა მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ხარჯთაღრიცხვის დაზუსტებისას, შეგნებულად განაფასა 975 კვ.მ, 1 მმ მილის მოწყობის სამუშაოები 0 (ნული) ლარად, რომელიც კორექტირების შედეგად საერთოდ ამოიღო ხარჯთაღრიცხვიდან და დამატებითი ანაზღაურების ხარჯზე მოაწყო იმავე ოდენობის, თითქმის 2-ჯერ ნაკლები სისქის მილი. შედეგად, ქალაქ

³⁹ სამუშაოები 122.3 ათასი ლარი, ემატება: სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე - 3%, ანუ 1.9 ათასი ლარი; ზედნადები ხარჯი - 8%, ანუ 9.9 ათასი ლარი; გეგმური დაგროვება - 8%, ანუ 10.7 ათასი ლარი; დღგ - 18%, ანუ 26.1 ათასი ლარი, სულ: 170.9 ათასი ლარი.

⁴⁰ წერილი №11/1.

⁴¹ სამუშაოები 193.5 ათასი ლარი ემატება: სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე - 3%, ანუ 1.9 ათასი ლარი; ზედნადები ხარჯი - 8%, ანუ 15.6 ათასი ლარი; გეგმური დაგროვება - 8%, ანუ 16.9 ათასი ლარი; დღგ - 18%, ანუ 41.0 ათასი ლარი, სულ: 268.9 ათასი ლარი.

მცხეთის მერიამ მიმწოდებელს ბიუჯეტიდან ზედმეტად აუნაზღაურა მინიმუმ 98.0 ათასი ლარი.⁴²

- სავენტილაციო სისტემის მოწყობისთვის პროექტით აგრეთვე, გათვალისწინებული იყო 130 კვ.მ-ის, 13 მმ სისქის „თვითწებადი კაუჩუკის თბოიზოლაცია ჰაერსატარებისთვის“ გამოყენება. მიმწოდებელს 1 კვ.მ 91.7ლარად უნდა მოეწყო.⁴³ სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ მასალების რაოდენობა არ იყო საკმარისი და საჭირო გახდა მოცულობის გაზრდა 1 195 კვ.მ-ით (სულ უნდა მოეწყო 1 325 კვ.მ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ელ ჯორჯიას“ ტენდერში თავდაპირველად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით, 1 კვ.მ სავენტილაციო სამუშაოებში კაუჩუკის თბოიზოლაციის მოწყობა 21.0 ლარად ჰქონდა განფასებული,⁴⁴ ხოლო ხელშეკრულების გაფორმებამდე დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში იგი გაიზარდა 91.7 ლარამდე. აღნიშნული ცვლილების შედეგად გაიზარდა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება და ქალაქ მცხეთის მერიამ თბოიზოლაციის მოწყობაში გასწია, მინიმუმ 93.7 ათასი ლარის ზედმეტი ხარჯი.⁴⁵

არსებობს რისკი იმისა, რომ მიმწოდებელს შესაძლოა წინასწარ სცოდნოდა პროექტში არსებული ხარვეზის შესახებ, სამუშაოების შესასრულებლად 130 კვ.მ თბოიზოლაცია არ იქნებოდა საკმარისი და საჭირო გახდებოდა მისი მოცულობების გაზრდა. ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების დროს, მეტი სარგებლის მიღების მიზნით, მიმწოდებელმა შესაძლოა განზრახ გაზარდა მასალის მოწყობის ღირებულება.

- ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „ელ ჯორჯიას“ ასევე, უნდა მოეწყო 43.3 ათას ლარის ღირებულების, 3 800 კვ.მ 12 სმ სისქის ასფალტბეტონის საფარი.⁴⁶ კორექტირების შედეგად შემცირდა შესასრულებელი სამუშაოები და მოეწყო 2 260 კვ.მ 6 სმ სისქის ასფალტბეტონის საფარი, რაშიც მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 83.2 ათასი ლარი.⁴⁷ თავდაპირველად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასებით 2 260 კვ.მ 12 სმ სისქის ასფალტბეტონის საფარის მოწყობაში უნდა გადაეხადა 25.8 ათასი ლარი.⁴⁸ ფაქტობრივად მუნიციპალიტეტმა 2-ჯერ ნაკლები სისქის

⁴² 268.9-170.9 ათასი ლარი.

⁴³ მასალის მოწყობა 65.0 ლარი, ემატება: სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე - 3%, ანუ 1.6 ლარი; ზედნადები ხარჯი - 8%, ანუ 5.3 ლარი; გეგმური დაგროვება - 8%, ანუ 5.8 ლარი; დღგ - 18%, ანუ 14.0 ათასი ლარი, სულ: 91.7 ლარი.

⁴⁴ საბაზრო ღირებულება აღნიშნული ფასის ფარგლებშია.

⁴⁵ $1325 \text{ კვ.მ} \times (91.7 - 21 \text{ ფასი}) = 93.7 \text{ ათასი ლარი}$.

⁴⁶ 1 მ² ასფალტბეტონის საფარის მოწყობის ფასი 2-3-ჯერ დაბალია საბაზრო ღირებულებაზე.

⁴⁷ სამუშაოები 59.1 ათასი ლარი, ემატება: სატრანსპორტო ხარჯი მასალაზე - 3%, ანუ 1.4 ათასი ლარი; ზედნადები ხარჯი - 8%, ანუ 4.8 ათასი ლარი; გეგმური დაგროვება - 8%, ანუ 5.2 ათასი ლარი; დღგ - 18%, ანუ 12.7 ათასი ლარი, სულ: 83.2 ათასი ლარი.

⁴⁸ $(43.3/3800) \times 2260 = 25.8 \text{ ათასი ლარი}$.

ასფალტბეტონის საფარის მოწყობაში, მინიმუმ 3-ჯერ მეტი თანხა გადაიხადა. არსებობს რისკი იმისა, რომ შპს „ელ ჯორჯიამ“ ტენდერში ასფალტბეტონის საფარის მოწყობაზე შეგნებულად დააფიქსირა არასაბაზრო ფასი,⁴⁹ სანაცვლოდ გაზარდა სხვა შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება, შემდგომ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით შეიტანა ცვლილება ხარჯთაღრიცხვაში და გაზარდა ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების ფასი. შედეგად ქალაქ მცხეთის მერიამ ეზოს მოასფალტების სამუშაოებში შპს „ელ ჯორჯიას“, მინიმუმ 57.4 ათასი ლარით მეტი თანხა გადაუხადა, ვიდრე ტენდერით იყო გათვალისწინებული.⁵⁰

კულტურის სახლის მშენებლობის პროცესში ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს ჯამში ზედმეტად აუნაზღაურა 249.1 ათასი ლარი.⁵¹

სპორტული კომპლექსის და კულტურის სახლის მშენებლობის პროცესში მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ნაცვლად იმისა, რომ ემოქმედათ კანონის შესაბამისად, შპს „ელ ჯორჯიას“ არასწორ ქმედებებზე არ მოახდინეს არანაირი რეაგირება და ბიუჯეტიდან მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურეს დიდი ოდენობის თანხა.

დასკვნა

აუდიტის შედეგად სპორტული კომპლექსისა და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ყველა ეტაპზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები. მუნიციპალიტეტმა შეიძინა საპროექტო დოკუმენტაცია, რომლებიც შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, რაზედაც არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები.

ქალაქ მცხეთის მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები სამუშაოების შესყიდვის პროცესში შესაძლოა არ მოქმედებდნენ მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად, ორივე პროექტის შესრულებისათვის, შპს „ელ ჯორჯიას“ სასარგებლოდ, ბიუჯეტიდან სავარაუდოდ ზედმეტად იქნა გადახდილი, დაახლოებით, 340.0 ათასი ლარი.⁵² გარდა ამისა, ქალაქ მცხეთის მერიამ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის არ დააჯარიმა მიმწოდებელი და არ დააკისრა, დაახლოებით, 306.1 ათასი ლარის სანქცია.⁵³

ხელშეკრულების ღირებულების გაზრდითა და ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები შეისყიდა არაკონკურენტულ გარემოში, რის გამოც შეიზღუდა ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

⁴⁹ მიმწოდებელმა 1 კვ.მ ზვის საფარის ფასი საბაზრო 30-36 ლარის ნაცვლად დააფიქსირა 12 ლარი.

⁵⁰ $83.2 - 25.8 = 57.4$ ათასი ლარი.

⁵¹ $98.0 + 93.7 + 57.4 = 249.1$ ათასი ლარი.

⁵² $90.9 + 249.1 = 340.0$ ათასი ლარი.

⁵³ $297.6 + 8.5 = 306.1$ ათასი ლარი.

გარდა ამისა, ქალაქ მცხეთის მერიამ შეისყიდა საექსპერტო მომსახურება, რომელიც ვერ გამოიყენა და გასწია 23.6 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

რეკომენდაცია №3: მცხეთის მერიამ დანერგოს ისეთი დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებების პრევენციას და გამოვლენას. ამავდროულად, შეისწავლოს სპორტული კომპლექსისა და კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესში გამოვლენილი გარემოებები, დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა იყოს ხარისხიანი, მათი მომსახურების ვადა უნდა ვრცელდებოდეს ხანგრძლივ პერიოდზე და შედეგი დადებითად აისახებოდეს მოსახლეობაზე. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს და განხორციელოს ისე, რომ შესყიდული სამუშაოები პასუხობდეს სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სრულად უზრუნველყოფდეს დასახელებული პრობლემების გადაწყვეტას.

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფოდან გადმოცემული ქონების მოვლა-პატრონობა ისე უნდა განხორციელოს, რომ შესაძლებელი იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ობიექტის ექსპლოატაცია და დასახული მიზნის მიღწევა.

გამოვლენილი გარემოება: 2017-2018 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შეისყიდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაო. სამუშაოების მიღება-ჩაბარებას საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ახორციელებდა გამგებლის ბრძანებით შექმნილი კომისია. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტიას, რაც გულისხმობს, რომ სამუშაოების ჩაბარებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ განხორციელებული კაპიტალური პროექტების ნაწილი საგარანტიო პერიოდში დაზიანდა და მოსახლეობა სათანადოდ ვერ სარგებლობს მატერიალური სიკეთით, ხოლო მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს შემსრულებლისთვის ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით.

დაბა ქსნის კანალიზაციის სისტემა

2010 წელს საქართველოს მგფ-სა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება დაბა - ქსნის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციაზე. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1.242.7 ათასი ლარი.⁵⁴

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქსნის კანალიზაციის სისტემა ჩაიბარა 2011 წელს.⁵⁵ ობიექტის ექსპლოატაციასა და მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი იყო მუნიციპალიტეტი.⁵⁶ საკანალიზაციო სისტემა უნდა მომსახურებოდა ქსნის სასჯელ-აღსრულების დაწესებულებას, მინის ტარის საწარმოს და მოსახლეობის ნაწილს.

პროექტის მიხედვით, საკანალიზაციო სისტემა მოიცავდა საკანალიზაციო ქსელსა და გამწმენდ ნაგებობას, რომლის ფუნქცია იყო მდინარე მტკვარში ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების გაწმენდა.

შესწავლით გაირკვა, რომ საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს, გაუწმენდავი წყლები პირდაპირ ჩაედინება მდინარე მტკვარში და საფრთხეს უქმნის გარემოსა და მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ქსნის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობა 2012 წელს გაიძარცვა და ამის შემდგომ არ უმუშავია. აღნიშნულის შესახებ ეცნობა სამართალდამცავ ორგანოს,⁵⁷ მუნიციპალიტეტს დამატებით სხვა ღონისძიება არ გაუტარებია. პროექტზე მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია 1,206.9 ათასი ლარის ხარჯი.⁵⁸

კულტურის სახლის მშენებლობის პირველი ეტაპი

კულტურის სახლის მშენებლობის პირველ ეტაპს აწარმოებდა სს „სამშენებლო საწარმოთა გაერთიანება იმერეთი“, რომელმაც სამუშაოები დაასრულა 2015 წლის მარტში, ღირებულებით - 1,296.2 ათასი ლარი.⁵⁹ მიმწოდებლის მიერ აშენდა ახალი შენობა, მოეწყო

⁵⁴ აღნიშნული თანხიდან: 373.1 ათასი ლარი (30%) გრანტის სახით დააფინანსა ფონდმა, 621.1 ათასი ლარი (50%) ფონდმა მუნიციპალიტეტს მისცა 10 - წლიანი სესხის სახით, ხოლო 248.5 ათასი ლარი (20%) დაფარა მუნიციპალიტეტმა. 2011-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ მგფ-ის მიმართ გადახდილია სესხის ძირითადი თანხა 476.1 ათასი ლარი, სესხის სარგებლობის პროცენტი - 482.1 ათასი ლარი.

⁵⁵ 2011 წლის 13 აპრილს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

⁵⁶ ხელშეკრულების მე-3 მუხლი, სადაც გაწერილია მუნიციპალიტეტის ვალდებულებები.

⁵⁷ რა სამართლებრივი შედეგი დადგა მუნიციპალიტეტისთვის უცნობია.

⁵⁸ 476.1+482.1+248.5=1206.7 ათასი ლარი.

⁵⁹ SPA140006536; ხელშეკრულება №20.

ყინვაგამძლე კერამოგრანიტით მოპირკეთებული ბრტყელი სახურავი.⁶⁰ სამუშაოების საგარანტიო ვადად განისაზღვრა ორი წელი.

მიმწოდებლის დაკვეთით, კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩაუტარდა საინჟინრო ექსპერტიზა. დასკვნის მიხედვით, მშენებლობის ხარისხი შემოწმებულ იქნა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით, რომელიც რეალური ხარისხის დასადგენად საკმარისი არ არის.

2019 წლის 21 თებერვალს აუდიტის ჯგუფმა მცხეთის მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. ობიექტის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაზიანებული იყო კულტურის სახლის სახურავი.⁶¹

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში გამოვლინდა სახურავის დაზიანებები. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მუნიციპალიტეტმა მიმართა შემსრულებელს,⁶² რომელმაც გამოასწორა ხარვეზები. 2017 წელს ზამთრის პერიოდში, კვლავ გამოვლინდა სახურავთან დაკავშირებული პრობლემები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სახურავზე ფილებს შორის ბზარების გაჩენა და წყლის ჩამოსვლა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახურავი მოწყობილია ბრტყელი გადახურვით - კერამიკული ფილებით, რომელიც არაა მდგრადი ნალექებისა და ტემპერატურული ცვლილებების მიმართ.

პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მცხეთის მერიამ 2019 წელს კულტურის სახლი ხელახლა გადახურა, რაზეც ჯამში 44.9 ათასი ლარი დაიხარჯა, მათ შორის საპროექტო მომსახურებაზე - 1.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტს ოფიციალურად არ შეუსწავლია აღნიშნული დაზიანების გამომწვევი მიზეზები, რაც საშუალებას მისცემდა თავიდან აეცილებინა საბიუჯეტო სახსრების დამატებითი ხარჯვა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ პროექტი ან სამუშაოები უხარისხოდ იყო შესრულებული, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიმართ უნდა გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. პროექტის ავტორის, ან შემსრულებლის მიმართ უნდა მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება, რაც არ განუხორციელებია.

⁶⁰ ბრტყელი გადახურვის სამუშაოები დაჯდა 128.2 ათასი ლარი.

⁶¹ რამდენიმე ადგილას ჩამოდიოდა წყალი, რის შედეგად დაზიანდა შენობის კედლები.

⁶² სს „სამშენებლო საწარმოთა გაერთიანება იმერეთს“.

სოფელ ძეგვში შესრულებული ობიექტი

2017 წლის 17 ივლისს, მცხეთის გამგეობამ შპს „გზამშენი-7“-თან გააფორმა ხელშეკრულება,⁶³ სოფელ ძეგვში მინისტადიონის სამშენებლო სამუშაოებზე, ღირებულებით 52.1 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტმა 2018 წლის თებერვალში ჩაიბარა. სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენდა ერთ წელს, რომლის განმავლობაში მიმწოდებელს უნდა გამოესწორებინა გამოვლენილი ხარვეზები.

2019 წლის 20 თებერვალს აუდიტის ჯგუფმა მცხეთის მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ სპორტული მოედანი დაზიანებულია.⁶⁴ დაზიანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, საგარანტიო ვადაში არ მიმართეს მიმწოდებელს ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ობიექტების დაზიანების მიზეზი შეიძლება იყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ან/და არასათანადო ექსპლოატაცია. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მიზნით მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ღონისძიებები, არ მიუმართავს მიმწოდებლებისთვის ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით, გასულია სამუშაოების საგარანტიო ვადა, რომელიც შეადგენდა ერთ წელს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გადმოცემული ქსნის საკანალიზაციო სისტემის სათანადო ექსპლოატაცია. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს, გაუწმენდავი წყლები პირდაპირ ჩაედინება მდინარე მტკვარში და საფრთხეს უქმნის გარემოს და მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის მიერ არანაირი ღონისძიება არ არის გატარებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია კულტურის სახლის სახურავის დაზიანება - საპროექტო დავალების არასწორად განსაზღვრამ, არასწორად შედგენილმა პროექტმა თუ მიმწოდებლების მიერ უხარისხოდ შესრულებულმა სამუშაოებმა.

მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი სამუშაოების მიღება. შედეგად, ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული 52.1 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი.

⁶³ NAT170005356, ხელშეკრულება №59.

⁶⁴ დაზიანებულია სპორტული მოედნის შესასვლელი კარი, ლითონის მავთულბადე და ხის კედლები.

რეკომენდაცია №4: მცხეთის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას.

გამოუყენებელი საპროექტო დოკუმენტაცია და ობიექტები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს და გაითვალისწინოს ყველა ის ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. აგრეთვე, უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად, განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მისი ფინანსური რესურსი მიმართოს დაუსრულებელი პროექტების დასამთავრებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და მოსახლეობისათვის მუნიციპალური სერვისების დროულად მიწოდებას.

სოფელ ბიწმენდში მოწყობილი წყლის მილი

გამოვლენილი გარემოება: მცხეთის გამგეობამ 2017 წლის 1 ნოემბერს ხელშეკრულება გააფორმა სოფელ ბიწმენდის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით - 195.9 ათასი ლარი.⁶⁵ პროექტი გათვლილი იყო თბილისი-ბულაჩაურის დამაკავშირებელ მაგისტრალზე თავისუფალი დამცლელი მილიდან დაღვრილი წყლის შეკრებასა და შემდგომ სოფლისათვის მიწოდებაზე. ამისათვის უნდა აშენებულიყო სატუმბი სადგური და წყლის მაგისტრალი.

აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულების დადებამდე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ჰქონდა ოფიციალური წერილობითი ნებართვა ობიექტის მესაკუთრე - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან“. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი დაგეგმეს სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. გამგეობას, მონიტორინგის ჯგუფმა, შპს „მშენ-ექსპერტმა“ სამუშაოებზე მიმწოდებელთან

⁶⁵ NAT170011163; ხელშეკრულება №102; შპს „დაკო“.

ხელშეკრულების დადებამდე წერილობით შეატყობინა,⁶⁶ რომ აუცილებელი იყო წყლის კომპანიისგან ოფიციალური ნებართვის მიღება. გაფრთხილების მიუხედავად გამგეობამ მიმწოდებელთან მაინც გააფორმა ხელშეკრულება და სამუშაოები დაიწყო აუცილებელი ნებართვის გარეშე.

მიმწოდებელმა დაიწყო სამუშაოები, პარალელურად მუნიციპალიტეტი აწარმოებდა მოლაპარაკებებს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“, მაგრამ მან უარი განაცხადა მაგისტრალიდან დაღვრილი წყლის გაცემაზე. ამ დროისთვის მიმწოდებლის მიერ შესრულებული იყო წყლის მაგისტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები (გაყვანილი იქნა წყლის მილი).

მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა დაეკორექტირებინა პროექტი და სამუშაოების ღირებულება შეემცირებინა 46.9 ათასი ლარით. პროექტიდან ამოღებული იქნა მიმდები ჭისა და სატუმბი სადგურის შენობის მოწყობის სამუშაოები.

სამუშაოების მოცულობების შემცირებამდე, მიმწოდებელმა მოასწრო თბილისი-ბულაჩაურის მაგისტრალურ წყალსადენზე მისაერთებელი 1600 მ სიგრძის მილის მოწყობა, სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 20.1 ათასი ლარი. აღნიშნული მილი დამონტაჟებულია დაუსახლებელ ტერიტორიაზე და მცხეთის მუნიციპალიტეტი ვერ იყენებს.

2018 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ ახატანში მოაწყო სათავე ნაგებობა, რომელიც დაერთებულ იქნა არსებულ წყალშემკრებ რეზერვუარზე.⁶⁷ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 113.9 ათასი ლარი. მშენებლობა დასრულდა 2018 წლის სექტემბერში. შედეგად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სოფელ ბიწმენდის მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდების მოთხოვნა.

მუნიციპალიტეტმა ისე დაგეგმა და დაიწყო სოფელ ბიწმენდის სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომ არ ჰქონდა და ვერც შემდგომ მიიღო წყლის მოხმარების ნებართვა. მოაწყო მაგისტრალურ წყალსადენზე მისაერთებელი 1600 მ სიგრძის მილი, რომელსაც ვერ იყენებს და გასწია 20.1 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

შეძენილი საპროექტო დოკუმენტაცია

მცხეთის მერიამ 2018 წელს შეიძინა სოფელ ახალუბანში ე.წ. „აგარაკებამდე“ მისასვლელი გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტში მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 12.0 ათასი ლარი,⁶⁸ ხოლო

⁶⁶ 2017 წლის 30 ოქტომბრის №105/10-2017 წერილი.

⁶⁷ NAT180006840.

⁶⁸ NAT180000745; ხელშეკრულება №23; 05/03/2018წ.

შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 600.0 ათას ლარს. პროექტის მიხედვით, მოსაწყობი გზა მოსახლეობის გვერდის ავლით, პირდაპირ უკავშირდებოდა ე. წ. „აგარაკებს“. იმ გარემოებამ, რომ გზა სოფელში არ გაივლიდა გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება. მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა შეემძინა ახალი საპროექტო დოკუმენტაცია,⁶⁹ რომლის მიხედვით „აგარაკებამდე“ მისასვლელი გზა მოეწყობოდა სოფლის გავლით. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე მიმწოდებელთან 2018 წლის 25 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით - 1,108.5 ათასი ლარი.⁷⁰

მცხეთის მერიის მიერ ისე მოხდა ე.წ. „აგარაკებამდე“ მისასვლელი გზის პროექტის შესყიდვა, რომ არ იქნა გათვალისწინებული სოფლის ძირითადი მოსახლეობის ინტერესები, პროექტი დაიგეგმა არამუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სასარგებლოდ. მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა პროექტი შეეცვალა, შეძენილი საპროექტო დოკუმენტაცია ვერ გამოიყენა და გასწია 12.0 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

დაუფინანსებელი პროექტები და დაუსრულებელი სარიტუალო სახლები

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა სოფლებში გარე განათების, სასმელი წყლის სისტემის, ჭაბურღილების, გზისა და სპორტული მოედნების მოწყობისათვის შეიძინა 6.2 ათასი ლარის სხვადასხვა საპროექტო დოკუმენტაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო იყო 217.0 ათასი ლარი.

ცხრილი №4. 2017-2018 წლებში შესყიდული და გამოყენებული პროექტები. (ათასი ლარი)

პროექტის დასახელება	პროექტში გადახდილი თანხა	საპროექტო ღირებულება
1. სოფელ ძველ ქანდაში სასმელი წყლის მილსადენის, გზის მოხრეშვის და სოფელ ფრეზეთში გზების რეაბილიტაცია	1.3	30.0
2. სოფლებში: ნავდარაანთკარსა და ლისში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	1.4	65.0
3. სოფელ არაშენდაში, გაღავანსა და შანკევანში გარე განათების მოწყობა	0.5	25.0
4. სოფელ მისაქციელში სასმელი წყლის 2 ჭაბურღილის მოწყობა	2.0	70.0
5. სოფელ საგურამოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	0.5	20.0
6. სოფელ საგურამოში გარე განათების მოწყობა	0.5	7.0
სულ:	6.2	217.0

⁶⁹ პროექტის ღირებულებამ შეადგინა 10.4 ათასი ლარი.

⁷⁰ CMR180219766; ხელშეკრულება №183/გ; სახელშეკრულებო ღირებულება 1,108.5 ათასი ლარი.

შემენილი პროექტების შესაბამისად უნდა მომხდარიყო სოფლებში სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების, გარე განათების მოწყობა, გზების რეაბილიტაცია და სხვ. აღნიშნული პროექტები მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ამ პროექტების შესრულება იგეგმებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებით და ფინანსური სახსრების უკმარისობის გამო ვერ განხორციელდა.

2014-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ქსოვრისში, წილკანსა და გალავანში დაიწყო სარიტუალო სახლების მშენებლობა, რაზედაც გაიხარჯა 140.6 ათასი ლარი.⁷¹ 2017 წლიდან აღნიშნული პროგრამა შეწყდა და სარიტუალო სახლების მშენებლობა არ გაგრძელდებულა. მოწოდებული ინფორმაციით, რიტუალების სახლის დასასრულებლად საჭირო იყო 475.0 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტს 2017-2018 წლებში ბიუჯეტებში არ გაუთვალისწინებია.⁷²

დასკვნა

მცხეთის მუნიციპალიტეტი შესყიდვების დაგეგმვისას წინასწარ არ ითვალისწინებდა შესასყიდი სამუშაოების ხელისშემშლელ პირობებს და სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლენილ შესაძლო რისკებს. შეიძინა ისეთი სამუშაო და საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ვერ გამოიყენა, შედეგად გასწია 32.1 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში არ განახორციელა სოფლებში გარე განათების, სასმელი წყლის სისტემების, გზისა და სპორტული მოედნების მოწყობის 217.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რომლის საპროექტო დოკუმენტაცია შესყიდული ჰქონდა. ამასთანავე, არ დაასრულა წინა წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაწყებული სარიტუალო სახლების მშენებლობა, რისთვისაც საჭირო იყო 475.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მუდმივად ირიცხება საკმარისი თავისუფალი ნაშთი, ფინანსური რესურსების არასწორი მართვის გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დაწყებული მშენებლობების დასრულება, დაგეგმილი პროექტების განხორციელება და მოსახლეობაზე შესაბამისი სერვისების მიწოდება.

რეკომენდაცია №5: მცხეთის მერიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს

⁷¹ ქსოვრისში სარიტუალო სახლის მშენებლობაზე დაიხარჯა 33.6 ათასი ლარი, წილკანში - 41.8 ათასი ლარი, გალავანში - 64.6 ათასი ლარი.

⁷² მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ წილკანში არსებული სარიტუალო სახლის დასრულების სამუშაოები, თანხით 115.0 ათასი ლარი.

პროექტის წარმატებით დასრულებას. წინასწარ გამოიკვლიოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო ობიექტების სპეციფიკა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო რისკები. პროექტის შესყიდვის დროს შეისწავლოს პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მერიამ მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსი მიმართოს დაწყებული ობიექტების დასასრულებლად. განახორციელოს ყველა ის პროექტი, რომელიც პრიორიტეტულია მერიისთვის და სიკეთეს მოუტანს მოსახლეობას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების დროულად მიწოდებას.

შესყიდვების მართვა

სატენდერო კომისიის არაერთგვაროვანი მიდგომა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება თუ არა სატენდერო მოთხოვნებს. ასევე, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი წინადადებების/დოკუმენტაციის განხილვისა და შეფასებისას სატენდერო კომისიას უნდა გააჩნდეს ერთგვაროვანი და სამართლიანი მიდგომა.⁷³

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში, პრეტენდენტს მუნიციპალიტეტისთვის უნდა წარმოედგინა ანალოგიური სამუშაოების შესახებ დადებითი რეკომენდაცია, სადაც მითითებული იქნებოდა, რამდენად ხარისხიანად, სრულად და დროულად შეასრულა პრეტენდენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შესრულებული ობიექტები დაფინანსებული იყო სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტით, უნდა წარმოედგინა დამფინანსებლის მიერ გაცემული რეკომენდაცია.

სატენდერო მოთხოვნების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სატენდერო კომისიას შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ გააჩნდა არაერთგვაროვანი მიდგომა.

⁷³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლი.

კერძოდ, წარმოდგენილი რეკომენდაციების გამო არასწორად ახდენდა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციას:

- 1) მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 6 მარტს გამოაცხადა ორი ტენდერი ქალაქ მცხეთაში ქუჩების გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.⁷⁴ შპს „ბრენდმა“ ორივე ტენდერზე ერთი და იგივე რეკომენდაცია წარმოადგინა. სატენდერო კომისიამ ერთ შემთხვევაში იმსჯელა და დაასკვნა, რომ შპს „ბრენდის“ მიერ სისტემაში იმავე პერიოდში ატვირთული რეკომენდაცია სრულად შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს, ხოლო მეორე შემთხვევაში - არ ჩათვალა მისაღებად, კერძოდ: გოგებაშვილის, გურამიშვილის, ერეკლე მეორეს, ვაჟა-ფშაველას, მუხრანის, საგურამოს, გმირის, სამხედროს, ღვინჯილიას ქუჩების გარე განათების მოწყობის ტენდერის სავარაუდო ღირებულება 49.5 ათასი ლარს შეადგენდა. შპს „ბრენდმა“ ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა 35.5 ათასი ლარი, თუმცა სატენდერო კომისიამ არასწორად მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია. შესაბამისად, გაიმარჯვა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტმა და მუნიციპალიტეტმა გარე განათების სამუშაოების მოწყობაში გადაიხადა 43.4 ათასი ლარი – 7.9 ათასი ლარით მეტი.⁷⁵
- 2) 2018 წელს მცხეთის მერიამ ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფლებში: მისაქციელში, ძაღისა და წილკანში სპორტული მიწის მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები.⁷⁶ ერთერთმა პრეტენდენტმა წარმოადგინა კერძო კომპანიის ქვეკონტრაქტორად მუშაობის გამოცდილება და რეკომენდაცია. 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით სატენდერო კომისიამ საკმარისად მიიჩნია წარმოდგენილი რეკომენდაცია და პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოაცხადა. 2018 წელს მცხეთის მერიამ ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ ბიწმენდში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების სამუშაოები, ღირებულებით - 130.0 ათასი ლარი.⁷⁷ სატენდერო კომისიის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი – შპს „მნათობი 2013“ დისკვალიფიცირებულ იქნა იმის გამო, რომ წარმოადგინა კერძო კომპანიის ქვეკონტრაქტორად მუშაობის გამოცდილება და რეკომენდაცია.⁷⁸ სატენდერო კომისიამ პირველ შემთხვევაში საკმარისად მიიჩნია წარმოდგენილი რეკომენდაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოიყენა პრეტენდენტის

⁷⁴ NAT180003693 - გოგებაშვილის, გურამიშვილის, ერეკლე მეორეს, ვაჟა-ფშაველას, მუხრანის, საგურამოს, გმირის, სამხედროს, ღვინჯილიას ქუჩების თანხით - 49.5 ათასი ლარი, ხოლო NAT180003694 - თაყაიშვილის, ჯავახიშვილის, მირიანის №17, წმ. ნინოს ქუჩების, თანხით - 44.5 ათასი ლარი.

⁷⁵ ტენდერში გაიმარჯვა და სამუშაოები შეასრულა შპს „ლიკანი 2000“-მა, თანხით 43.4 ათასი ლარი.

⁷⁶ NAT180004763.

⁷⁷ NAT180006840.

⁷⁸ დააფიქსირა 97.8 ათასი ლარი.

დისკვალიფიკაციის საფუძვლად, რის შედეგად გაიმარჯვა მომდევნო პრეტენდენტმა, რომელმაც 16.1 ათასი ლარით მეტი ფასი დააფიქსირა.⁷⁹

დასკვნა

ამდენად, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები, რადგან პრეტენდენტების მიმართ გამოიყენა არაერთგვაროვანი მიდგომა, რაც სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკებს შეიცავს. სატენდერო კომისიის ზემოაღნიშნული ქმედების შედეგად, მცხეთის მერიამ ხელშეკრულებები გააფორმა 24.0 ათასი ლარით მეტ თანხაზე.

რეკომენდაცია №6: მცხეთის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და არ დაუშვას კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება. მერიამ შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

მიწოდების პირობების დარღვევაზე დაწესებული საჯარიმო სანქცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში გამოიყენება საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისათვის შემსრულებელს შესაძლებელია დაერიცხოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეებზე. ჯარიმების მიზანია მოახდინოს მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე დაკისრებული ჯარიმა უნდა იყოს მიღებული ზარალის თანაბარზომიერი და აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს მისი სიდიდე.

გამოვლენილი გარემოება: ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, მცხეთის მერია 2018 წელს იყენებდა საჯარიმო სანქციის მინიმალურ ოდენობას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენციას და მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, საჯარიმო სანქცია სამუშაო ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. აღნიშნული მიმწოდებლებს აძლევდა შესაძლებლობას - სამუშაოს, მომსახურებისა და საქონლის მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი, გადაეხადათ მინიმალური ჯარიმები.

⁷⁹ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯი თი სმარტ სოლუშენსი“, რომელმაც დააფიქსირა 113.9 ათასი ლარი.

ცხრილი №5. შესყიდვის დროს დაწესებული დაბალი საჯარიმო სანქცია

სამუშაოს დასახელება	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	ვადაგადაცი ღირებულება (ლარი)	პირგასამტებლო (ლარი)
სოფლებში: კველიანსა და ახალდაბაში ბოგირის მშენებლობა	ი/მ „კახაბერ სტეფანაძე“	110 000.0	272	2 918.0
მცხეთაში, კოსტავას ქუჩაზე ბორდიურების, ტროტუარების, გარე განათების რეაბილიტაციის და გამწვანების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ამხანაგობა „ინჟინერები“	73 700.0	82	1 208.0
საგურამოს სანიაღვრე სისტემის მოწყობა	ი/მ „კახაბერ სტეფანაძე“	91 100.0	167	2 354.0
სოფელ ძალისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა	შპს „მთაბარი“	169 500.0	60	2 034.0
სოფელ ძეგვში საზოგადოებრივი სკვერის მოწყობა	შპს „მადლი“	13 000.0	66	172
სოფლებში: ბიწმენდსა და ძველ ქანდაში საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ი/მ „ნანა ახვლედიანი“	7 900.0	72	114

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობამ დროულად ისარგებლოს ობიექტის სიკეთით. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მცხეთის მერიის მიერ დაწესებული დაბალი საჯარიმო სანქციის გამო, მიმწოდებელი ხშირად არღვევდა სამუშაოს, მომსახურებისა და საქონლის მიწოდების ვადებს. შედეგად, მუნიციპალიტეტში ფერხდებოდა პროექტების შესრულება, 2-9 თვის დაგვიანებით არის შესრულებული სასმელი წყლის სისტემის, გზების, სანიაღვრე არხების, ბოგირების მოწყობისა და სხვა სამუშაოები.

დასკვნა

მცხეთის მერიამ სამუშაოს, მომსახურებისა და საქონლის შესყიდვისას გაფორმებული ხელშეკრულებით, მიწოდების ვადების დარღვევისათვის დააწესა დაბალი პირგასამტებლო. გამოყენებულმა საჯარიმო სანქციებმა ვერ უზრუნველყო შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენცია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სამუშაოები მუნიციპალიტეტს მიეწოდებოდა დიდი ხნის დაგვიანებით. რაც, თავის მხრივ, იწვევდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაწყებისა და დასრულების გადავადებას. შედეგად, მოსახლეობა დროულად ვერ იღებდა შესაბამის სიკეთეს.

რეკომენდაცია №7: მცხეთის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმილ ვადაში განხორციელება. მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოიყენოს ისეთი საჯარიმო სანქციები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენციას. შედეგად, დროულად დასრულდება ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობა მიიღებს შესაბამის სიკეთეს.

მოსახლეობის წყალმომარაგება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები: წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁸⁰

კანონმდებლობის მიხედვით - სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი.⁸¹ სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. წყლის ხარისხის შიდა კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება წყლის მიმწოდებლის მიერ. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ პარამეტრებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

გამოვლენილი გარემოება: მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების შესაბამისად, წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიჩნეულია ერთ-ერთ პრიორიტეტად. ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელება და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება, დეზინფექცია და რეაბილიტაცია; სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა; მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, მოხმარებული და გახარჯული სასმელი წყლის გადასახადის ამოღება, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ტარიფის მიხედვით.

⁸⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁸¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

მოსახლეობის წყალმომარაგებას მუნიციპალიტეტი ახორციელებდა მის მიერ დაფუძნებული – შპს „მცხეთის სოფწყალის“ მეშვეობით. წესდების მიხედვით, საწარმოს საქმიანობის სფეროა მოსახლეობისათვის ხარისხიანი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა, სოფლებში არსებული სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია და სხვ. 2017 წელს შპს „მცხეთის სოფწყალმა“ მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიიღო 544.0 ათასი ლარი, 2018 წელს კი – 770.0 ათასი ლარი.

წყალმომარაგების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ასრულებდა პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრულ ვალდებულებებს. კერძოდ:

-)/ სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფდა სასმელ წყალზე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;
-)/ 2017-2018 წლებში აბონენტების გამრიცხველიანება არ დაფინანსებულა;
-)/ მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადის ამოღებას.

აღსანიშნავია, რომ შპს „მცხეთის სოფწყალი“ სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას მუნიციპალიტეტს მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არსებული რთული მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, წერილებში ხაზგასმულია შემდეგი პრობლემები: საჭირო იყო წყლის დამატებითი შემკრებების, ჭაბურღილების, სანიტარული ზონებისა და საქლორატოროს მოწყობა, წყალსადენის შიდა ქსელის განვითარება; წყლის დებეტის შემცირების გამო რეზერვუარებში არ იყო წყლის საკმარისი რაოდენობა და მოსახლეობა არსებული ხევებიდან თვითნებურად მოიხმარდა სასმელად უვარგის დაბინძურებულ წყალს; წყლის მისაწოდებლად გამოყენებული იყო უვარგისი ფოლადის მილები; ზოგიერთი ჭაბურღილიდან მიღებული წყალი ლაბორატორიული სინჯების მიხედვით არ ექვემდებარებოდა დამუშავებას და არ უნდა გამოყენებულიყო სასმელად; ჭაბურღილიდან მიღებულ წყალს მოჰყვებოდა გოგირდის გემო და სუნი, რაც საჭიროებდა ჰიდრო-გეოლოგიურ გამოკვლევას და სხვ.⁸²

შპს „მცხეთის სოფწყალი“ მიმართავდა მუნიციპალიტეტს მიკრობიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევებისათვის საჭირო ლაბორატორიის უქონლობის შესახებ, რის გამოც ვერ ხერხდებოდა წყლის ხარისხის ყოველდღიური კონტროლი.⁸³ კერძოდ, როგორც სასმელი

⁸² წერილები: №61, 25.01.2016; №318, 17.11.2016; №93, 03.05.2017; №152, 29.06.2017.

⁸³ წერილები: №93, 03.05.2017; №152, 29.06.2017.

წყლის მიწოდებელ სამსახურს, შპს-ს ევალუბოდა ჰქონოდა კვლევისათვის აუცილებელი ლაბორატორია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს საჭირო მოწყობილობების შესყიდვა 2017-2018 წლებში არ დაუფინანსებია.

შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია საკმარისი ღონისძიებები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მათ შორის, 8 სოფელში წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები 2017-2018 წლებში არ დაფინანსებულა, თუმცა მუნიციპალიტეტს ანგარიშზე გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ფულადი ნაშთები. შედეგად, აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მუნიციპალიტეტის 59 სოფლიდან სათანადოდ გაწმენდილ წყალს იღებდა 33 სოფლის მოსახლეობა, ხოლო 26 სოფელში რჩება ხარისხიანი წყლის მიწოდების პრობლემა.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“, შპს „მცხეთის სოფწყალის“, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ წერილებით ირკვევა,⁸⁴ რომ ზოგ შემთხვევაში მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის მიწოდებული სასმელი წყლის სინჯები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ნორმებს. მათ შორის, 2017 წელს 17-დან - 9 საბავშვო ბაღს და 2018 წელს 24-დან - 10 საბავშვო ბაღს მიეწოდებოდა მიკრობულად დაბინძურებული სასმელი წყალი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გამრიცხველიანებულია მხოლოდ 9 სოფელი, მათ შორის, 5 სოფელი – ნაწილობრივ. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული წყალმომარაგების პროექტები მრიცხველების მოწყობას არ ითვალისწინებდა. აღნიშნული იწვევს მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის გაუფრთხილებელ/უკონტროლო ხარჯვას, რაც წყლის დეფიციტის და გრაფიკით მიწოდების ერთ-ერთი მიზეზია.

შპს „მცხეთის სოფწყალი“ 2017-2018 წლებში მოხმარებული წყლის გადასახადს არ იღებდა მოსახლეობიდან, მათ შორის, არც გამრიცხველიანებული აბონენტებიდან, რადგან არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია. კომპანია ლიცენზიის ფარგლებში წყალმომარაგებას ახორციელებდა და ემსახურებოდა 8 სოფელს. 2015 წელს მან მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას სამოქმედო არეალიდან ჯერ 7 სოფლის ამოღების, ხოლო 2016 წელს – ლიცენზიის შეჩერების მოთხოვნით.⁸⁵ მიზეზად მიუთითა ის, რომ მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ უზრუნველყოფდა ლიცენზიის პირობების შესრულებას და ხარისხიანი წყლის მიწოდებას.

⁸⁴ სააგენტო - №09-8/3528, 07.06.2016; №09-8/4230, 24.06.2016; №09-8/4235, 24.06.2016; №09-8-6983, 15.09.2016; შპს - №61, 25.01.2016; ა(ა)იპ - №120, 04.04.2017.

⁸⁵ წერილები №164, 14.09.2015; №175, 23.05.2016.

დასკვნა

2017-2018 წლებში სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენდა, გაწეული ხარჯის მიუხედავად, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი მიეწოდება გრაფიკით, წყლის ხარისხი ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს. არალიცენზირებული პირის მიერ არ ხდება წყლის გადასახადის აკრეფა, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაეკონომიურად და არაპროდუქტიულად იხარჯება. მუნიციპალიტეტმა არსებული თავისუფალი ფულადი რესურსი არ მიმართა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

რეკომენდაცია №8: მცხეთის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, წყლის სისტემის გამართულ ექსპლოატაციას და მიწოდების ხარჯების შემცირებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად,⁸⁶ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁸⁷ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა

⁸⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

⁸⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: 2017-2018 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტში საკრებულოს წევრებზე (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა), ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით. დადგენილების შესაბამისად, 2017 წელს საკრებულოს კომისიის სხდომებსა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯების ასანაზღაურებლად დაუწესდათ თვეში 412.5 ლარი,⁸⁸ ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს - 397.5 ლარი.⁸⁹ 2018 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით,⁹⁰ საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ასანაზღაურებლად კვლავ 397.5 ლარი განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებს 2017-2018 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ ჯამში - 120.0 ათასი ლარი.⁹¹ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაზეც მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად.

დასკვნა

მცხეთის მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 120.0 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების (საფუძვლის) გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №9: მცხეთის მერიამ საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები არ აანაზღაუროს შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას და საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

⁸⁸ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №10, 2016 წლის 20 მაისი.

⁸⁹ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №47, 2015 წლის 30 ოქტომბერი.

⁹⁰ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №21, 2017 წლის 29 დეკემბერი.

⁹¹ 2017 წელს ჯამში 74.9 ათასი ლარი; 2018 წელს 45.1 ათასი ლარი.

სატრანსპორტო საშუალებები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიხედვით,⁹² განისაზღვრა საბიუჯეტო ორგანიზაციებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში სამტატო რიცხოვნობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ მიღება, აღნიშნული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: მთავრობის დადგენილებით გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული და მიღებული სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების წესი.

მთავრობის დადგენილების თანახმად, სამტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, მცხეთის გამგეობისთვის 2017 წელს სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა. 2018 წელს მცხეთის მერიისთვის - 7 ერთეული სამორიგეო ავტომანქანა. საქართველოს მთავრობის დადგენილება მუნიციპალიტეტებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მისი შესრულება პრიორიტეტული უნდა იყოს. მცხეთის გამგეობა 2017 წელს იყენებდა საკუთრებაში არსებულ 11 ავტომობილსა (2 - განპიროვნებული, 9 - სამორიგეო ავტომობილი) და თანამშრომლების მფლობელობაში არსებულ 43 ავტომობილს. სულ გახარჯულია 168.7 ათასი ლარის ღირებულების 93.1 ათასი ლიტრი საწვავი.⁹³ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, კერძო საკუთრებაში მყოფი 43 ავტომობილიდან მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების საკუთრებაში არ იმყოფება 18 ერთეული.

⁹² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

⁹³ 2017 წელს ქ. მცხეთის მერიის მიერ გახარჯულია 28.1 ათასი ლარის - 15.5 ათასი ლიტრი საწვავი, ხოლო გაერთიანებული მუნიციპალიტეტის მიერ (დეკემბერში) 11.8 ათასი ლარის - 5.6 ათასი ლიტრი საწვავი.

მცხეთის მერია 2018 წელს იყენებდა საკუთრებაში არსებულ 16 (2 - განპიროვნებული, 14 - სამორიგო ავტომობილი) და თანამშრომლების მფლობელობაში არსებულ 50 ავტომანქანას. სულ გახარჯულია 228.9 ათასი ლარის ღირებულების 106.0 ათასი ლიტრი საწვავი. კერძო საკუთრებაში მყოფი 50 ავტომობილიდან მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეების საკუთრებაში არ იმყოფება 31 ერთეული.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით იყო განპიროვნებული 2017-2018 წლებში საჯარო მოხელის ავტომანქანის გამოყენების (საწვავის გაცემის) აუცილებლობა, მაშინ როდესაც, თვითონ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების რაოდენობა აღემატებოდა მთავრობის მიერ რეკომენდებულ ნორმებს.

დასკვნა

მცხეთის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული და მიღებული სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების წესი. სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. კერძოდ, 2017 წელს მცხეთის გამგეობა რეკომენდებული 6 ერთეულის ნაცვლად, განკარგავდა 9 სამორიგო ავტომანქანას, ხოლო 2018 წელს მცხეთის მერია რეკომენდებული 7 ერთეულის ნაცვლად, განკარგავდა 14 სამორიგო ავტომანქანას. გარდა ამისა მუნიციპალიტეტი სარგებლობდა კერძო პირების საკუთრებაში არსებული ავტომანქანებით, 2017 წელს 43 ერთეულით, ხოლო 2018 წელს - 50 ერთეულით.

რეკომენდაცია №10: მცხეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ, აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და შეასრულოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას, საწვავის და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

წარმომადგენლობითი ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის გადასახდელები ითვალისწინებს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას. კანონმდებლობის მიხედვით, წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს

მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენის, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, აგრეთვე სასტუმროს მომსახურების ხარჯებს.⁹⁴

მოქმედი კანონმდებლობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ხარჯების გაწევის პროცედურა და მასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის შედგენა. კერძოდ, სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია, გამასპინძლების ეტიკეტი და სხვ. მუნიციპალიტეტის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა და მისი მიზანშეწონილობა უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციით 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის „წარმომადგენლობითმა ხარჯებმა“ შეადგინა 292.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2017 წელს - 137.2 ათასი ლარი,⁹⁵ 2018 წელს - 155.5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული მუხლიდან დაფინანსებულია სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა, როგორცაა: მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებებზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება, საკვები პროდუქტებისა და სასტუმროს მომსახურება, საახალწლო ღონისძიებები და სხვ.

„წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული შიდა ინსტრუქცია/წესი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული მუხლიდან კვებით მომსახურებაზე თანხების რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ ხარჯვას.

2017-2018 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტმა სტუმრების გამასპინძლების მიზნით კვების მომსახურებაზე 82.7 ათასი ლარის ხარჯი გასწია. მათ შორის: 2017 წელს - 37.0 ათასი ლარი,⁹⁶ 2018 წელს - 45.7 ათასი ლარი, რისთვისაც ხელშეკრულებები გაფორმებულია სხვადასხვა კვების ობიექტთან.⁹⁷ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებლებზე მომსახურების ღირებულება ანაზღაურებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელშიც მხოლოდ მომსახურების დასახელება და ღირებულებაა მითითებული, ხოლო მომსახურების მიმღებ პირთა რაოდენობა არ არის მითითებული.

⁹⁴ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება.

⁹⁵ მცხეთის თემმა გახარჯა 85.8 ათასი ლარი, ქ. მცხეთის მერიამ - 51.4 ათასი ლარი.

⁹⁶ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა - 16.9 ათასი ლარი; ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია - 20.1 ათასი ლარი.

⁹⁷ 10 მიმწოდებელთან გაფორმდა 30 ხელშეკრულება.

გარდა ამისა, 2017 წელს 4 შემთხვევაში ვერ ხერხდება ღონისძიებების იდენტიფიცირება, რომლებზეც გაწეულია 3.5 ათასი ლარის კვებითი მომსახურების ხარჯი.⁹⁸

რეკომენდაცია №11: მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიღების ფორმა, მიზანი და გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებს გახდის საჯაროს და შედეგზე ორიენტირებულს.

შესყიდული საკონსულტაციო მომსახურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. 2017 წელს ქალაქ მცხეთის მერიასა და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიული სამსახურების დებულებების მიხედვით, თანამშრომელთა მნიშვნელოვან ფუნქციებსა და უფლებებს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტების შედგენა, საბიუჯეტო პროცესების ორგანიზება, ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობის ანალიზი, სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და სხვ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი, მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%-ს.⁹⁹

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს ქალაქ მცხეთის მერიამ და გამგეობამ შპს „დაუ“-გან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა „თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული მომსახურების“ შესყიდვა, ღირებულებით 8.8 ათასი ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁰⁰ თანახმად, შპს „დაუ“-ს ევალებოდა „თვითმმართველი ერთეულების 2016 წლის ბიუჯეტების შესრულებისა და ანგარიშგების, 2017-2020 წლების ბიუჯეტების პროექტების

⁹⁸ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია - 1.1 ათასი ლარი; ხელშეკრულება №51/გ - თანხა 0.7 ათასი ლარი; ხელშეკრულება №65/გ - თანხა 0.4 ათასი ლარი; ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა - 2.4 ათასი ლარი; ხელშეკრულება №54/გ - თანხა 0.7 ათასი ლარი; ხელშეკრულება №67/გ - თანხა 0.3 ათასი ლარი; ხელშეკრულება №112/გ - თანხა 1.4 ათასი ლარი;

⁹⁹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის, მე-2 პუნქტი.

¹⁰⁰ ქ. მცხეთის მერია - CMR170022823. ხელშეკრულება №13/გ; მცხეთის გამგეობა - CMR170032127, ხელშეკრულება №6/გ.

შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, ანგარიშგების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების თაობაზე ახალი ნორმატიული აქტების, მათში შეტანილი ცვლილებებისა და სხვა მასალების მიწოდება“. ასევე, „საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ კონსულტაციის მომზადება/მიწოდება და სხვ“. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შპს „დაუ“-ს ყოველთვიურად მუნიციპალიტეტზე მიწოდებული აქვს ნორმატიული და საკანონმდებლო ბაზაში შეტანილი სიახლეები, გაწეული აქვთ საკონსულტაციო მომსახურება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო სიახლეები ხელმისაწვდომია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ვალდებული არიან გააჩნდეთ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და შეძლონ მათი საქმიანობაში გამოყენება. 2017 წელს ქალაქ მცხეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ სამსახურებში სულ დასაქმებული იყო 7 მოსამსახურე,¹⁰¹ ხოლო მცხეთის გამგეობის საფინანსო და იურიდიულ სამსახურებში - 11 მოსამსახურე,¹⁰² რომელთა შრომის ანაზღაურებამ ჯამში - 160. 7 ათასი ლარი შეადგინა.

დასკვნა

2017 წელს ქალაქ მცხეთის მერიისა და გამგეობის პასუხისმგებელმა პირებმა შეისყიდეს ისეთი სახის მომსახურება (მათ შორის საკონსულტაციო), რომლის შესრულებაც გათვალისწინებული იყო შტატის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობებით და ფუნქციურად ევალუოდათ. ამდენად, მცხეთის მერიისა და გამგეობის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე ფაქტობრივად გადახდილი 8.8 ათასი ლარი, არამიზნობრივი ხარჯია.

რეკომენდაცია №12: მცხეთის მერიამ, შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის, არ გადაიხადოს დამატებითი სახსრები. მიზანშეწონილია, მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში შესაბამისი კვალიფიკაციის პირების დასაქმებას. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის 1% მიმართოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

¹⁰¹ საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება - 4 თანამშრომელი; იურიდიული სამსახური - 3 თანამშრომელი.

¹⁰² საფინანსო სამსახური 8 თანამშრომელი; იურიდიული სამსახური - 3 თანამშრომელი.

შტატგარეშე თანამშრომლის დანიშვნა

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მოსამსახურე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგად. ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ დროებით მოვალეობის შემსრულებლები, არაუმეტეს სამი თვის ვადით.¹⁰³

გამოვლენილი გარემოება: მცხეთის მუნიციპალიტეტის (თემის) საკრებულოს თავმჯდომარემ 2016 წლის 7 ივნისის №33 ბრძანებით საკრებულოს აპარატის შტატში, დროებით მოვალეობის შემსრულებლად, დანიშნა თანამშემწე. ბრძანებაში არ იყო მითითებული დროებით მოვალეობის შესრულების ვადა. მუნიციპალიტეტს საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწის თანამდებობაზე კონკურსი არ გამოუცხადებია. საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწე საქმიანობას აგრძელებდა 2017 წლის პირველ ივლისამდე,¹⁰⁴ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის დარღვევით.

ქონების მართვა

სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად,¹⁰⁵ მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია შემდეგი ფორმების გამოყენებით: აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვ. მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მხარეებს შორის იდება ხელშეკრულება. მუნიციპალური ქონებით მოსარგებლე პირი იხდის შესაბამის საფასურს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა. გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში, ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემისას, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახედვის შესაძლებლობა.¹⁰⁶ აღნიშნული პირობის არსებობა უზრუნველყოფს მისაღები სარგებლის მისადაგებას საბაზრო ღირებულებასთან, რითაც დაცული იქნება მუნიციპალიტეტის, როგორც კანონიერი მესაკუთრის ინტერესები.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მცხეთის მუნიციპალიტეტს 2017-2018 წლებში იჯარით ჰქონდა გაცემული 47 ერთეული ქონება. აღნიშნულ წლებში საიჯარო შემოსავლების სახით ბიუჯეტში უნდა შემოსულიყო 94.4 ათას

¹⁰³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლები, მოქმედი 2017 წლის 1 ივლისამდე.

¹⁰⁴ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის №33/კ ბრძანება.

¹⁰⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 122.

¹⁰⁶ მუნიციპალიტეტის მიერ ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სახელშეკრულებო ფასის გადასინჯვას.

ლარი. რეალურად, მოიჯარეებმა გადაიხადეს მხოლოდ 64.8 ათასი ლარი (69%), შესაბამისად, გადაუხდელი საიჯარო ქირა 2019 წლის დასაწყისში 29.6 ათას ლარს შეადგენდა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული შემოსავლების დროულად ამოღებაზე.

ხელშეკრულების პირობებით, მოიჯარე ვალდებულია გადასახადი ჩარიცხოს განსაზღვრულ ვადებში, ხოლო თანხის დაგვიანებისთვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება პირგასამტეხლო 0.1%-ის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ მოიჯარეებზე არასრულადაა დარიცხული საურავი. დაურიცხავმა თანხამ შეადგინა 9.0 ათასი ლარი. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო დამატებითი შემოსავალი.

2019 წლის 1 იანვრისთვის მცხეთის მერიას სარგებლობის უფლებით ქონება გადაცემული აქვს 41 მოსარგებლეზე. ქონების სარგებლობაზე ხელშეკრულებები ძირითადად გაფორმებულია 2011-2017 წლებში. მუნიციპალური ქონება ძირითადად გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით. ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს შეეძლო გაეზარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირა.

ვინაიდან, ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარის ფორმით, აუდიტის ჯგუფი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება იყო თუ არა საბაზრო ფასად გაქირავებული. შესწავლით გამოვლინდა, რომ 2011 წლის შემდგომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები საკრებულოს დადგენილებებით 2-3 -ჯერ არის გაზრდილი.¹⁰⁷

ცხრილი №6. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასები

ზონის დასახელება	2011 წ. (ლარი)	2013 წ. (ლარი)	2018 წ. (ლარი)
მცხეთა - ცენტრალური ზონა	30.0	70.0	74.3
მცხეთა - შუალედური ზონა	27.2	63.0	67.5
პერიფერიული	24.5	57.3	60.8
სოფლები	9.5	19.1	20.3
დასახლებათა ზონის არეალი	7.6	25.5	20.3
საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების 50 მ-ის რადიუსში	23.1	50.9	67.5

¹⁰⁷ საკრებულოს დადგენილებები: №11- 06.02.2012წ; №29 -01.07.2013წ; №21 -12.02.2018წ.

აუდიტის ჯგუფმა დამატებით შეისწავლა, მცხეთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე, კერძო პირების მიერ განთავსებული განცხადებები.¹⁰⁸ მათ საკუთრებაში არსებულ გასაყიდ და განსაკარგ მიწის ნაკვეთებსა და მათზე მდებარე ობიექტების შესახებ. ქალაქ მცხეთაში გასაყიდი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ღირებულებები, მათი მდებარეობიდან, ფართობიდან და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ცვალებადია და შესწავლის პერიოდისთვის 1 კვ.მ - ზე 80-დან 300 - ლარამდე შეადგენს,¹⁰⁹ ხოლო, კომერციული დანიშნულებით დასაქირავებელი ქონების ფასი 1 კვ.მ-ზე 10-30 ლარს შეადგენს.

2011 წლის 4 მაისს მცხეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „მელვინეობა ხარებას“ შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, ქალაქ მცხეთაში არსუკიდის ქუჩაზე მდებარე 80 კვ.მ ფართის მქონე ორსართულიანი შენობის იჯარით გაცემაზე.¹¹⁰ ხელშეკრულების თანახმად, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 10 წლით, 2021 წლის მაისამდე, ხოლო ქონების საიჯარო ფასი - თვეში 222.8 ლარი. ამ შენობის სარგებლობისთვის, 2017-2018 წლებში შპს „მელვინეობა ხარებას“ წლიურად გადახდილი აქვს 2.7 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა პირდაპირი განკარგვის წესით გაქირავებული აღნიშნული ფართი. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ აღნიშნული შენობა მდებარეობს სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ტურისტულად აქტიური ზონაა. მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ფართის 1 კვ.მ ღირებულება თვეში 2.8 ლარია, როდესაც აღნიშნულ ზონაში იგი, მინიმუმ, 20 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სხვა მოიჯარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასებიც შეუსაბამოა, როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ ნორმატიულ ფასებთან, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე არსებულ ღირებულებებთან.

დასკვნა

ვინაიდან მცხეთის მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ძირითად მიზანს დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღება წარმოადგენს, მუნიციპალიტეტს შეეძლო გადაეხედა მოიჯარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასებისთვის და მუნიციპალიტეტის ინტერესების სასარგებლოდ, შესაძლებლობის ფარგლებში ემსჯელა საიჯარო ქირის ცვლილებაზე (ზრდაზე) საკრებულოს მიერ დადგენილი და საბაზრო ფასების გათვალისწინებით, რაც დიდი ალბათობით გაზრდიდა

¹⁰⁸ უძრავი ქონების გაყიდვა-განკარგვის განცხადებების ვებ-გვერდები Place.ge; ss.ge; myhome.ge.

¹⁰⁹ 2019 წლის პირველი ნახევარი.

¹¹⁰ საკადასტრო კოდი: 71.07.06.340.

მუნიციპალიტეტის შემოსავლებს. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს ღონისძიებები არ გაუტარებია. აგრეთვე არაეფექტიანი კონტროლის პირობებში მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს კუთვნილი საიჯარო ქირის დროულად მიღებას, ხოლო გადაუხდელ თანხებზე არასწორადაა დარიცხული საურავი - 9.0 ათასი ლარით ნაკლები. ზემოაღნიშნულის შედეგად მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა ხორციელდება არაპროდუქტიულად.

რეკომენდაცია №13: მცხეთის მერიამ შეისწავლოს ქონებით მოსარგებლე პირების დავალიანების საკითხი და გაატაროს სათანადო ღონისძიებები. შეიმუშაოს შემოსავლების ადმინისტრირების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კუთვნილი თანხების დროულ და სრულად მიღებას. მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების ფასების საბაზრო პირობებთან დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღებას.

მუნიციპალიტეტზე გადაცემული ტრაქტორები

კრიტერიუმი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა მუნიციპალიტეტისთვის შესაძლებელია დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.¹¹¹ სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეადგინონ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი.¹¹² მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას და მოუაროს გადმოცემულ ქონებას.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს აგვისტოში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დაუკვეთა სახელმწიფოდან გადმოცემული ტრაქტორების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა. აღნიშნული მომსახურებისათვის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 840 ლარი.

აღნიშნული საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ 2009 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლის ამხანაგობას „გუთნის დედას“, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცა 6 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, სათიბელა, ფრეზი და სხვა დამხმარე მისაბმელები.

2015 წლის მარტსა და აგვისტოში მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ და აცნობა,¹¹³

¹¹¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 113, პუნქტი 1.

¹¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის № 1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“. მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ჟ“.

¹¹³ 2015 წლის 16 მარტის №366 წერილი და 21 აგვისტოს №5822 წერილი.

რომ ამხანაგობა არ იყო შექმნილი კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჰყავდა ხელმძღვანელი, არ ხდებოდა ტექნიკის დანიშნულებისამებრ გამოყენება, მათი უმეტესობა გამოსული იყო მწყობრიდან. მოითხოვა ტექნიკის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით ქონების სახით გადმოცემა, რათა მუნიციპალიტეტს შეძლებოდა ტექნიკის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

მუნიციპალიტეტის მიმართვის საფუძველზე სააგენტომ 2015 წლის 7 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი ქონების სახით, 6 სხვადასხვა მარკის ტრაქტორის, სათიბელას და ფრეზის გადაცემის შესახებ.¹¹⁴

2016 წლის მაისში მუნიციპალიტეტის მიერ სააგენტოსათვის მიწერილი წერილით ირკვევა,¹¹⁵ რომ გადმოსაცემი 6 ტრაქტორიდან მუშა მდგომარეობაში იყო მხოლოდ 2, ხოლო დანარჩენი კი - არამუშა მდგომარეობაში (დაზიანებული). ქონების ფაქტობრივად ჩაბარების მიზნით, მუნიციპალიტეტმა სააგენტოსგან მოითხოვა ისეთი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, სადაც დაფიქსირდებოდა ექსპერტიზის დასკვნა ტექნიკის მდგომარეობის შესახებ. 2016 წლის 8 ივნისს სააგენტო დათანხმდა მიღება-ჩაბარების აქტის ექსპერტიზის დასკვნის გარეშე გაფორმებას.¹¹⁶

2017 წელს მუნიციპალიტეტის დაკვეთით ჩატარებული გადმოცემული ტექნიკის ექსპერტიზით ქონება შეფასებულია 131.5 ათას ლარად. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ტექნიკის უმეტესობა გაუმართავია და საჭიროებს შეკეთებას.

სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ტექნიკის გადმოცემის ბრძანების გამოცემიდან გასულია 4 წელი, ხოლო ექსპერტიზის ჩატარებიდან 2 წელი, მუნიციპალიტეტს ქონების მიღებაზე სააგენტოსთან არ გაუფორმებია მიღება-ჩაბარების აქტი და არც რაიმე ღონისძიება გაუტარებია. ტექნიკა არ არის მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე ჩაბარებული და არც ბალანსზეა აყვანილი, არ არის დარეგისტრირებული და განკარგული. ამასთანავე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება, რა მიზნით აპირებდა მუნიციპალიტეტი გადმოცემული ტექნიკის გამოყენებას.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: კანონმდებლობის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია

¹¹⁴ სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 10 ოქტომბრის №1/1-4075 ბრძანება.

¹¹⁵ 2016 წლის 10 მაისის №3779 წერილი.

¹¹⁶ 2016 წლის 8 ივნისის №11/28735 წერილი.

სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.¹¹⁷ აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები.

გამოვლენილი გარემოება: მცხეთის მერის 2017 წლის 20 დეკემბერს ბრძანებით,¹¹⁸ შექმნილია „გაუქმებული მცხეთის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების და გაუქმებული მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში დაცული დოკუმენტაციის მიმღები კომისია“, 7 კაციანი შემადგენლობით. კომისიას დაევალა გაუქმებულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ინვენტარიზაციის კომისიების მიერ აღწერილი ქონებისა და დოკუმენტაციის მიღება.

კომისიის მიერ შედგენილი ოქმით ირკვევა, რომ „განხორციელდა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია“. ინვენტარიზაციის შედეგები ასახულია „საინვენტარიზაციო აღწერილობის ფორმაში“. ინვენტარიზაცია სათანადოდ არ ჩატარებულა, რადგან აღწერით გამოვლენილი მუნიციპალიტეტის ქონების მონაცემები არ არის შედარებული ბუღალტრულ ნაშთებთან და არ არის გამოყვანილი შედეგები. აღწერისას არ არიან მითითებული მატერიალურად პასუხისმგებელი პირები და არც ინვენტარიზაციით გამოვლენილი ქონებაა ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე.

მცხეთის მერიის მიერ 2018 წელს აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. 2017 წელს არასრულად, ხოლო 2018 წელს საერთოდ არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაცია №14: მცხეთის მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი

¹¹⁷ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

¹¹⁸ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის №ს-880 ბრძანება.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

შიდა აუდიტის სამსახური

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ, მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით, მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

გამოვლენილი გარემოება: მცხეთის მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური. სამსახური უფლებამოსილია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხორციელდება დაფინანსების გამოყენება, არის თუ არა სრულყოფილად დანერგილი მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2017-2018 წლებში დამტკიცებული ანგარიშების შესწავლით, გამოვლინდა შემდეგი:

სამსახურის მიერ სულ ჩატარებულია 27 აუდიტორული შემოწმება, მათ შორის: 9 შემოწმება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში, ერთი - შპს-ში, 5 - ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებში და 12 - მუნიციპალიტეტის სამსახურებში. ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით, 2017 წელს გაიცა 76 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია – 19 (25 %). 2018 წელს გაიცა 37 რეკომენდაცია, რომელთაგან არცერთი არ შესრულებულა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის გამოც სავარაუდოდ ისინი ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2017-2018 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რაც მიგნებების სახით წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია №15: მცხეთის მერიამ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა იმგვარად წარმართოს, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი და არ არის გამოსწორებული აღნიშნული ფინანსური აუდიტის შედეგებზე შედგენილ ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებები. მუნიციპალიტეტს 2017-2018 წლებში არ აქვს შედგენილი ფინანსური ანგარიშგება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორები

გიორგი ჩახვაძე

წამყვანი აუდიტორი

თეა უდესიანი

აუდიტორი

ზურაბ ტუსკაძე

აუდიტორი

ლელა მიქაძე

აუდიტორი

ხელმოწერა






სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38